პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

კომუნისტი — орган ЦК компартии Грузии и Советов депутатов трудящихся Грузинской ССР

№ 106 (9574) | ოთხშაბათი, 6 მაისი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერშია:

საწარმოთა რიტმული, გამართული მუშაობისათვის — **მოწინავე.**

ჩვენს დიად სამშობლოში (1-ლი გვერდი).

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში (1-ლი გვერდი).

პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე. **ვ. ჭელიძე.** — პარტიული კომიტეტი სუსტად ხელმძღვანელობდა იდეოლოგიურ მუშაობას. **ვ. გელაშვილი.** — სოფლის კომუნისტების კრებაზე (მე-2 გვერდი).

დროშები და პრემიები პირველ კვარტალში კარგი მუშაობისათვის (მე-2 გვერდი).

პრესის მიმოხილვის მაგიერ. 1. ერთი სერიოზული შეცდომა. 2. მკითხველი გაზეთის შესახებ (მე-2 გვერდი).

საბჭოთა მშენებლობა. **ნ. ჯაბუკლავა, ს. შონია.** — გავაუმჯობესოთ საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა (მე-3 გვერდი).

დ. ენუქიძე. — იმპერიალიზმის დაჩრდილებული ფანატიკოსები (მე-3 გვერდი).

კინო. **ნ. შველიძე.** — მშვიდობის დამცველთა მძლავრი ხმა (მე-3 გვერდი).

უცხოეთისა და რესპუბლიკური ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

საწარმოთა რიტმული, გამართული მუშაობისათვის

ლენინ—სტალინის პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო მტკიცედ შემოკრებილი და მონოლითურად დაჯაზმული საბჭოთა ხალხი, თავისი ძალებისადმი რწმენით, წარმატებით იბრძვის დიად სტალინურ მიზანდასახულობათა განსახორციელებლად, კომუნისტური საზოგადოების შენებლობის გეგმების ვადამდე შესასრულებლად.

საბჭოთა ადამიანები თავდადებით შრომობენ, რათა გაამრავლონ საზოგადოებრივი დოვლათი; ისინი ახორციელებენ მომჭირნეობის უმკაცრეს რეჟიმს, რაციონალურად იყენებენ საწარმოო რესურსებს, აღწევენ სოციალისტური ეკონომიკის ყველა დარგის განვითარებას.

პარტიის XIX ყრილობამ უდიდესი ამოცანები დასახა: უზრუნველყოფილ იქნას სოციალისტური ეკონომიკის ყველა დარგის ახალი მძლავრი განვითარება, ხალხის კეთილდღეობის შემდგომი აღმავლობა, მშრომელთა მზარდი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების სრული დაკმაყოფილება.

„პარტიული, სამეურნეო და პროფკავშირული ორგანიზაციების ამოცანა ის არის, — თქვა ამხანაგმა გ. მ. მალენკოვმა საანგარიშო მოხსენებაში პარტიის XIX ყრილობაზე, — რომ უფრო სწრაფად აღმოფხვრან მიზეზები, რომლებიც ხელს უშლიან შრომის ნაყოფიერების გადიდებას, და სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, თვითეულ საწარმოში, თვითეულ საწარმოო უბანზე უზრუნველჰყონ შრომის ნაყოფიერების გადიდების დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება. საჭიროა გადაჭრით აღმოფხვრათ ნაკლოვანებანი ჩვენი მდიდარი ტექნიკის გამოყენების საქმეში, მტკიცედ განვახორციელოთ საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის პროგრამა, უფრო ფართოდ დავნერგოთ სახალხო მეურნეობის ყველა დარგში პიონერების და ტექნიკის უახლესი მიღწევები, სისტემატურად გავაუმჯობესოთ შრომისა და წარმოების ორგანიზაციის ფორმები და მეთოდები, გავაუმჯობესოთ მუშახელის გამოყენება“.

სოციალისტური შეჯიბრება, მისი მასობრივობა, ამ შეჯიბრებისადმი ოპერატიული ხელმძღვანელობის უზრუნველყოფა სახელმწიფო გეგმების შესრულების, საწარმოთა რიტმული მუშაობის საწინდარია.

სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღებისას ძირითად ამოცანად უნდა დავისახოთ მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრა. ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობის მთელ რიგ საწარმოებში ჯერ კიდევ უთანაბროდ უშვებენ პროდუქციას. პარტიამ არაერთხელ მიაქცია ამ გარემოებას სამეურნეო ხელმძღვანელების ყურადღება, მაგრამ ამას უმეტეს შემთხვევაში მხოლოდ დროებითი გაუმჯობესება მოჰყვებოდა ხოლმე, ხოლო გარკვეული დროის შემდეგ ამ საწარმოებში კვლავ ფეხს იკიდებდა წყვეტებით მუშაობა, იერიშობანა.

თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხანა, რომელიც შარშან მოწინავე საწარმოთა რიგებში იყო, წელს არათანაბრად მუშაობს. იანვარში ქარხანა ჩამორჩა, გეგმით გათვალისწინებული რაოდენობით ვერ გამოუშვა პროდუქცია. სამაგიეროდ შემდგომ თვეებში — თებერვალსა და მარტში — „გადატვირთვით“ იმუშავა, რათა წინა თვის ჩამორჩენა გამოესწორებინა და კვარტალური გეგმა შეესრულებინა.

დადგა მეორე კვარტალი და კვლავ შეიცვალა ამ ქარხნის მუშაობის რიტმი. აპრილში — მეორე კვარტალის პირველ თვეში ქარხნის კოლექტივმა შეანელა მუშაობის ტემპი, ჩამორჩა.

ხშირია შემთხვევა, როცა ერთი საწარმოს მუშაობას ხელს უშლის მასთან დაკავშირებული მეორე საწარმოს გაუმართავი, ცუდი მუშაობა. თბილისის მაკარონის ფაბრიკის კოლექტივი წელს კარგად მუშაობს, მაგრამ მისი ეს მუშაობა საგრძნობლად შეაფერხა რკინიგზის ნავთლუღის კვანძის მხრივ ცუდმა მომსახურებამ. თებერვლის პირველ ხუთდღიურში ფაბრიკას ნავთლუღელმა რკინიგზელებმა არ მიაწოდეს 9 ვაგონი, მეორე ხუთდღიურში — 5 ვაგონი და ა. შ., სამაგიეროდ მეხუთე და მეექვსე ხუთდღიურში, გეგმის შესრულებაში ჩამორჩენა ფაბრიკისათვის რომ დაექისრებინათ, ერთბაშად მიაწოდეს ყველა ვაგონი, თუმცა ფაბრიკას მათი ერთბაშად დატვირთვის საშუალება არა ჰქონდა. ასეთმა მომსახურებამ გამოიწვია ფაბრიკის მუშაობის რიტმის არევა, მზა პროდუქციის გაგზავნის შეფერხება, იერიშობანა.

ზოგიერთ საწარმოში ხშირად დავალებათა შესრულება იფუშება იმის შედეგად, რომ მოუწესრიგებელი აქვთ შრომა, ნაყოფიერად არ იყენებენ ტექნიკას, არ ავრცელებენ მოწინავეთა გამოცდილებას. ლოკომოტივსარემონტო ქარხნის კოლექტივი იანვარში ჩამორჩა, ხოლო თებერვალსა და მარტში „შეტევაზე გადავიდა“ და ამის შედეგად უზრუნველყო კვარტალური დავალების 100,4 პროცენტით შესრულება. ქარხნის პარტიულ, სამეურნეო და პროფესიულ ორგანიზაციებს თავიდანვე მეტი ყურადღება რომ მიექციათ საწარმოო დავალებათა შესრულების მიმდინარეობისათვის, თავიდანვე რომ შემტევი ტემპით ემუშავნათ, ცხადია, უკეთესი წარმატებები ექნებოდათ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის XVI ყრილობის აღსანიშნავად ამჟამად საბჭოთა საქართველოს საწარმოებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, მტკ-ებში ახალი ძალით ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება, რესპუბლიკის მოწინავე საწარმოებში თავგამოდებით შრომობენ, რათა შემდგომ გააღრმაონ საპირველმაისოდ მოპოვებული მიღწევები, ახალი გამარჯვებებით აღნიშნონ ყრილობის მოწვევა. საპირველმაისო შეჯიბრებაში მრავალი საწარმო დაწინაურდა, საამაყო წარმატებები მოიპოვა. მაგრამ შეჯიბრების შედეგები უკეთესი იქნებოდა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის საქალაქო კომიტეტის ყოფილი ხელმძღვანელობის მიერ დანერგილი რომ არ ყოფილიყო მუშაობის მანკიერი მეთოდები. ისინი ნერგავდნენ საზეიმო ხმაურის ატმოსფეროს, ყოველნაირად აზვიადებდნენ არარსებულ წარმატებებს, აკნინებდნენ სოციალისტური შეჯიბრების ძალას, ფორმალობამდე დაყავდათ ის, ქმაყოფილდებოდნენ საერთო ციფრობრივი მაჩვენებლებით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი ხელმძღვანელები ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს მიზნად არ უსახავდნენ საწარმოთა გამართული, რიტმული მუშაობის მიღწევას. ნაცვლად ამისა, ისინი წარმოთქვამდნენ მაღალფარდოვან სიტყვებს შეჯიბრების მნიშვნელობისა და საწარმოთა გამართული მუშაობის შესახებ.

საწარმოთა სამეურნეო, პარტიულ და პროფკავშირულ ხელმძღვანელებს უნდა ახსოვდეთ, რომ სახელმწიფო გეგმა კანონია და გეგმის შეუსრულებლობისათვის, ამ საქმეში უსულგულობისა და დაუდევრობისათვის ისინი პასუხისმგებელნი არიან სახელმწიფოს წინაშე. მათი მთავარი ამოცანაა უზრუნველყონ საწარმოო დავალებათა შესრულება თანდათან მზარდი მაჩვენებლებით, და არა კვეთებითა და იერიშით.

უზრუნველვყოთ საწარმოთა რიტმული, გამართული მუშაობა, 1953 წლის დავალებათა ვადამდე შესრულება!

ჩვენს დიად სამშობლოში

25 აპრილს კრემლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა ორდენები და მედლები გადასცა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის და დამზადებათა სამინისტროს მერძევეობის ლენინის ორდენოსან საბჭოთა მეურნეობა „კარავაევოს“ მუშაკთა ჯგუფს, რომლებიც დაჯილდოებული არიან მეცხოველეობაში 1951 წელს მოპოვებული მაღალი მაჩვენებლებისათვის. სურათზე: სოციალისტური შრომის გმირები (მარცხნიდან მარჯვნივ) მებბორე ნ. პ. ივანოვა, მწველავი ა. ი. სმირნოვა, პირუტყვის მომვლელი ნ. ა. სმირნოვა და მებბორე ტ. ა. სმირნოვა წითელ მოედანზე.

ფოტო ვ. სავოსტიანოვისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

★

ექსკურსიები მოსკოვის სახელოგბის არხზე

მოსკოვის სახელობის არხზე დაიწყო ზაფხულის საექსკურსიო სეზონი. 165 ათასზე მეტი კაცი მონაწილეობდა ექსკურსიებში საპირველმაისო დღესასწაულზე. გაიხსნა მოსკოვ-მოლოტოვის სამგზავრო ხაზი. 6 მაისს პირველი რეისით წავა თბომავალი „კლიმ ვოროშილოვი“ მოსკოვ-კალინინის მარშრუტით და უკან.

უახლოეს დღეებში გაიხსნება საექსკურსიო ხაზი მოსკოვი — მოსკოვის ზღვა. (საკდესი).

დამთავრდა ოთხი თვის პროგრამა

კრივოი როგი. (საკდესი). დღესასწაულს ღირსეული შრომითი საჩუქარი მოუმზადეს ტრესტ „ლენინრუდის“ მაღაროელებმა. 30 აპრილს მათ დაამთავრეს მთელი სამთამადნო ციკლის ოთხი თვის საწარმოო პროგრამა. მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა სამთომოსამზადებელ და დაშრის სამუშაოთა დავალება. მადნის ამოღება 15 პროცენტით გადიდდა.

ათასზე მეტმა მბურღავმა, გვირაბგამყვანმა, მებიგემ, სკრეპერისტმა, ქანის სატვირთავი მანქანის და ელმავლის მემანქანემ ნახევარ-ნახევარი წლის ნორმა შეასრულა სადღესასწაულოდ.

საუკეთესო გურღვის გრიგადა

გროზნა. (საკდესი). 30 აპრილს ბურღვის სამთო კანტორის წარჩინებული ოსტატი ვასილ დოროშენკო შეუდგა მიმდინარე წელს მეხუთე ჰაბურღილის ბურღვას. უკანასკნელ № 367 ჰაბურღილზე მან მიაღწია გროზნის პირობებში გვირაბგაყვანის სარეკორდო სიჩქარეს — ჩარხზე 2.000 მეტრს თვეში. ეს თითქმის ერთიორად აღემატება დაგალებას.

სსრ კავშირის ნავთობის მრეწველობის სამინისტრომ და ნავთობის მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა ამხ. დოროშენკოს ბრიგადას მიანიჭეს ნავთობის მრეწველობის სამინისტროს საუკეთესო ბურღვის ბრიგადის წოდება. იგივე სპპაბონ წოდება მიენიჭა „გროზნეფტის“ გაერთიანების კიდევ რვა ბურღვის ბრიგადას.

ჩკალოვის მინერალური წყალი

ჩკალოვი, 5 მაისი. (საკდესი). დაიწყო ჩკალოვის მინერალური წყაროს ექსპლოატაცია. 96 მეტრი სიღრმის ჰაბურღილს შეუძლია დღეღამეში მოგვცეს ოთხი ათასი ვედრო მინერალური წყალი, რომელიც ქლორ-ნატრიუმიანი წყლების ტიპს ეკუთვნის და რომელიც შეიძლება შევადაროთ სტარაია რუსას წყაროების წყალს და რუსეთის სფსრ ჩრდილოეთ ოლქების სხვა წყლებს. ახალი წყალი ფრიად ეფექტიანია დიაბეტის, ნიკრისის ქარებისა და კუპ-ნაწლავის ტრაქტის სხვადასხვა დაავადების მკურნალობისას. ქალაქის კვებკომბინატის სპეციალურმა საამქრომ დაიწყო წყლის წარმოება.

წყარო აღმოაჩინა ინჟინერ-გეოლოგმა სტალინური პრემიის ლაურეატმა ა. ს. ხომენტოვსკიმ.

საბჭოთა სამეცნიერო და კულტურული დაწესებულებები სისტემატურად უცვლიან წიგნებსა და უურნალებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სამეცნიერო დაწესებულებებს. დიდძალ ლიტერატურას გზავნის და იღებს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფუნდამენტალური ბიბლიოთეკა. წელს უკვე მიღებულია ათასზე მეტი წიგნი. სურათზე: ბიბლიოგრაფი ტ. ი. ვოლკოვა (მარჯვნივ) და მეცნიერი თანამშრომელი-სინოლოგი ო. ვ. მოროშკინა მუშაობენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკიდან მიღებული წიგნების მორიგი პარტიის გარჩევაზე.

ფოტო ვ. შაროვსკისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

დიდების მონუმენტის რესტავრაცია

პოლტავა, 4 მაისი. (საკდესი). დამთავრდა დიდების მონუმენტის — 1709 წლის პოლტავის ბრძოლაში შვედებზე გამარჯვებული რუსი მეომრების დიდების ძეგლის რესტავრაცია. მონუმენტი აგებულ იქნა პოლტავის ბრძოლის ასი წლის შემდეგ იმ ადგილას, სადაც ქალაქის მცხოვრებნი ტრიუმფით შეხვდნენ პეტრეს ჯარებს კარლოს XII განადგურების დღეს. იგი წარმოადგენს ბრინჯაოს ბარელიეფებით შემკულ სვეტს, რომელიც დადგმულია გრანიტის კვარცხლბეკზე. სვეტის წვერი დაგვირგვინებულია არწივის ბრინჯაოს ფიგურით, რომელსაც ნისკარტით უკავია დაფნის დიდების გვირგვინი.

პოლტავის სამეცნიერო-სარესტავრაციო სახელოსნოში მოვარაყებულია არწივის ფიგურა, აღდგენილია მონუმენტის კვარცხლბეკი, განახლებულია ბრინჯაოს მორთულობანი, რომლებიც რუსული მხატვრული სხმულის შედევრს წარმოადგენენ.

ნავიგაცია ამურზე

ხაბაროვსკი, 3 მაისი. (საკდესი). ამურზე გაიხსნა ნავიგაცია. დღეს ხაბაროვსკის ნავსადგურის მისადგომიდან პირველ რეისში გავიდა გემი „ლენინგრადი“. დასატვირთავად ჩამოდგნენ გემები „მაიაკოვსკი“ და „კალინინი“.

ამ ნავიგაციაში ტვირთზიდვის მოცულობა ამურის სანაოსნოში მნიშვნელოვნად გადიდდება.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში

ი. ბ. სტალინისადმი მიძღვნილი გამოფენა ოსტრავაში

პრაღა, 2 მაისი. (საკდესი). როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, 30 აპრილს ქალაქ ოსტრავაში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა გამოფენა „იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი და ოსტრავის განთავისუფლება“. სახელოვანი საბჭოთა არმიის მიერ ოსტრავის განთავისუფლების მე-8 წლისთავის დღეს გახსნილი გამოფენა გამოხატავს ოსტრავის მშრომელთა მადლობას იოსებ ბესარიონის-ძე სტალინისადმი.

გამოფენაზე წარმოდგენილია იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი მასალები და ფოტოსურათები, აგრეთვე ქალაქ ოსტრავის ისტორიისადმი მიძღვნილი მასალები.

გამოფენის ნაწილი ასახავს იმ წარმატებებს, რაც მიღწეულია ოსტრავის მშრომელთა მიერ, რომლებიც საბჭოთა ადამიანების მაგალითისამებრ აშენებენ ბედნიერ მომავალს.

პირველი ავტომატური ქარხანა ჩინეთში

პეკინი. (საკდესი). სინხუას საagენტოს კორესპონდენტი ანმანიდან იუწყება:

ანშანში — ჩინეთის მეტალურგიული მრეწველობის ერთ-ერთ ძირითად ცენტრში — მალე დამთავრდება მშენებლობა მთლიანწნული მილების დიდი ავტომატური ქარხნისა, რომელიც პირველია ჩინეთში.

ქარხანა გამოუშვებს მთლიანწნეულ მილებს ნავთობსადენების, ლოკომოტივების, გემების, ტრაქტორებისათვის და სხვ.

განუხრელი აღმავლობის გზით

ტირანა, 4 მაისი. (საკდესი). ალბანეთის გაზეთებმა გამოაქვეყნეს სტატისტიკური სამმართველოს ცნობა ალბანეთის სახალხო ძეურნეობის განვითარების 1953 წლის I კვარტალის გეგმის შესრულების შესახებ. 1953 წლის I კვარტალში სამრეწველო პროდუქცია 1952 წლის იძავე კვარტალთან შედარებით 12,6 პროცენტით გადიდდა.

სოფლის მეურნეობაში 1953 წლის I კვარტალში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით თესვის გეგმა შესრულებულია 111,2 პროცენტით, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მიერ მიწის დამუშავების გეგმა — 108 პროცენტით.

საქონელბრუნვა სოციალისტურ სექტორში 1952 წლის I კვარტალთან შედარებით გადიდდა 16,3 პროცენტით, მოსახლეობისათვის მაკარონის მიყიდვა გადიდდა 12,6 პროცენტით, ცხიმეულისა — 21,9 პროცენტით, ბამბის ქსოვილებისა — 107,5 პროცენტით.

მუშათა რაოდენობა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გადიდდა 17,9 პროცენტით.

რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა მოძრაობა ბულგარეთში

სოფია, 4 მაისი. (საკდესი). სახალხო-დემოკრატიულმა წყობილებამ ბულგარეთში ყველა შესაძლებლობა შექმნა მშრომელი მასების შემოქმედებითი აქტივობის განვითარებისათვის. წლითიწლობით იზრდება რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა რაოდენობა მრეწველობაში და ტრანსპორტზე, აგრეთვე დიდდება რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა წინადადებების რაოდენობა.

მაგალითად, 1951 წელს შეტანილი იყო 10.207 წინადადება, ხოლო 1952 წელს უკვე 15.016 წინადადება. ყველაზე ფართოდ რაციონალიზატორული მოძრაობა განვითარდა მანქანათმშენებლობაში, ელექტრომრეწველობაში, ტრანსპორტზე და მშენებლობაში.

ქალაქ სტალინის სამრეწველო საწარმო „ვულკანში“ ყოველი მეოთხე მუშა რაციონალიზატორია, ფაბრიკა „ოპოსში“ ყოველ ხუთ მუშაზე მოდის ერთი რაციონალიზატორული წინადადება და სხვ.

შესანიშნავია ის გარემოება, რომ ყველა რაციონალიზატორული და საგამომგონებლო წინადადების უმეტესობა შეტანილია რიგითი მუშების მიერ. ბევრ გამოჩენილ რაციონალიზატორსა და გამომგონებელს დიმიტროვული პრემიის ლაურეატის სპპაბონ წოდება მიენიჭა. ისეთი რაციონალიზატორები, როგორიც არიან გერაგოს ელმაჯიანი, იორდანე მიხაილოვი, პეტრე ბაიანოვი, ივანე სლაჩევი ფართოდ არიან ცნობილნი მთელ ბულგარეთში.

რაციონალიზატორულ და საგამომგონებლო წინადადებათა დანერგვის შედეგად 1952 წელს მიღებულ იქნა 81 მილიონი ლევი ზეგეგმითი ეკონომია.

„ტყის ერთთვიური“ რუმინეთში

ბუქარესტი, 4 მაისი. (საკდესი). რუმინეთში ბურეუაზიულ-მემამულური წყობილების დროს ტყის მასივების მტაცებლური ექსპლოატაციის შედეგად მოისპო მილიონნახევარ ჰექტარზე მეტი ტყე. რუმინეთში სახალხო ხელისუფლების დამყარების შემდეგ დიდი მუშაობა წარმოებს ტყის დასარგავად.

ამ დღეებში რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება, რომ ყოველწლიურად, 1953 წლით დაწყებული, მოეწყოს ტყის „ერთთვიური“ ტყის რგვის საშუშაოებში მშრომელთა ფართოდ ჩაბმის მიზნით. წელს „ტყის ერთთვიური“ ეწყობა მაისში. ერთთვიურის პერიოდში მოეწყობა ტყის რგვა ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის მასივების შესაქმნელად, ხეხილი და სხვა ხეები დაირგვება რკინიგზებისა და გზატკეცილების გაყოლებით, პარკებში, ბაღებში, სასკოლო ნაკვეთებზე და სხვ.

ხეების დარგვაში, თესლის შეგროვებასა და ტყის მავნებელთა წინააღმდეგ ბრძოლაში აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ რუმინელი პიონერები და მოსწავლეები.

„სტალინგრადწყალმშენის“ მოედნებზე

სტალინგრადი. (საკდესი). ყრუდ ეხეთქება ნაპირს სამხრეთის ცხელი ქარით აჭაფებული ციმლიანსკის ზღვის ტალღები. ფართოა ამ ადგილას წყლის სივრცეები, თვალით ვერ გასწვდები მას.

...ნიჟნე-იაბლოჩნის ხუტორიდან ჰიდრომშენებელთა რაზმები გზას უკაფავენ წყალს უფრო შორს — კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებზე. ვოლგასა და დონს შუა მოქცეულ ველებზე, ოლქის სამხრეთით ციმლიანსკის ნაპიროსთან, საგარეუბნო ზონაში „სტალინგრადწყალმშენის“ კოლექტივი კვლავ აჩაღებს შეტევას გვალვის წინააღმდეგ. დაამთავრეს რა გენერალოვკის მაგისტრალური არხის მშენებლობა, მშენებლებმა ფართოდ გააჩაღეს ნოვი აქსაის არხის აგება. წელს ეს ორი არხი სატუმბავი სადგურების საშუალებით ციმლიანსკის ზღვიდან წყალს მიაწვდის სარწყავ ქსელს, რომელიც მორწყავს პირველი რიგის 25 ათას ჰექტარს; ახლა სრული ტემპით მიმდინარეობს სამეურნეო-განმანაწილებელი არხების მშენებლობა კოტელნიკოვისა და ვოროშილოვსკის რაიონების მიწებზე.

საირიგაციო მშენებლობის ფრონტი ოლქის სამხრეთით დღითიდღე ფართოვდება. „სტალინგრადწყალმშენის“ მთავარი ინჟინერი ი. კურჩენკო მოგვითხრობს:

— ოლქის სამხრეთ რაიონებში, ვოლგა-დონის ზონაში დასახულია ათგოს 33 სარწყავი სისტემა, რომელთაგან თვითეულზე მოდის საშუალოდ ორი მძლავრი სატუმბავი სადგური. მაგისტრალური და განმანაწილებელი არხების საერთო სიგრძე აქ ათიათასობით კილომეტრს შეადგენს.

იაბლოჩნის ხევთან შენდება სატუმბავი სადგური, რომელიც წყალს მიაწვდის მაღლობს. მაგისტრალური არხის 48-ე კილომეტრზე წყალს კიდევ უფრო მაღლა ასწევს მეორე სატუმბავი სადგური. განსხვავება განმანაწილებელი ქსელისა და წყალსაცავის დონეებს შორის სულ ცოტა 40 მეტრი იქნება.

მომდინარე წლისათვის კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობა სამნახევარჯერ იზრდება. მშენებლობა ამჟამად უკვე 89 ობიექტზე წარმოებს.

გენერალოვკისა და ნოვი აქსაის სისტემებს შემდეგ ახლა პირველი რიგის სისტემა გახდა ვარვაროვკის სარწყავი სისტემა, რომელიც შენდება ვარვაროვკის წყალსაცავის რაიონში. იგი მორწყავს გოროდიშჩეს რაიონის საგარეუბნო ბოსტნეულთა ნაკვეთებს. პირველი ორისაგან განსხვავებით, ეს სისტემა არსებითად თვითდენადი სისტემა იქნება.

ვარვაროვკის მაგისტრალური არხის მშენებლობა მოგვაგონებს ვოლგა-დონის ცხარე დღეებს. მუშაობს ათობით ექსკავატორი, სკრეპერი და ავტომანქანა. ტრაქტორები, ადიან რა ამოღებული გრუნტის მთებზე, გრეიდერებით აწარმოებენ ხრამების დაგეგმვას. ბეტონსარეველებიდან რკინაბეტონის ნაგებობათა მოედნებისაკენ მიქრიან თვითსაცლელი ავტომანქანები, მშენებლობის მექანიზატორები ცდილობენ დასახულ ვადაზე გადასცენ ეს სისტემა საექსპლოატაციოდ.

პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე

პარტიული კომიტეტი სუსტად ხელმძღვანელობდა იდეოლოგიურ მუშაობას

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი მოწინავე უმაღლესი სასწავლებელია. იგი დიდ მუშაობას ეწევა მაღალკვალიფიციური მეცნიერული კადრების მომზადებისათვის, უნივერსიტეტის სამეცნიერო კოლექტივი აქტიურად იბრძვის ახალი მეცნიერული მიღწევებისათვის და თავისა წვლილი შეაქვს საბჭოთა მეცნიერების წინსვლაში.

მაგრამ უნივერსიტეტს ჯერ კიდევ აქვს სერიოზული ნაკლოვანებანი როგორც სასწავლო-აღმზრდელობით, ისე იდეურ-პოლიტიკურ მუშაობაში. სწორედ ამ ნაკლოვანებებზე ილაპარაკეს დელეგატებმა უნივერსიტეტის VI პარტიულ კონფერენციაზე, რომელიც ამ დღეებში გაიმართა.

უნივერსიტეტის VI პარტიული კონფერენცია საქართველოს კომპარტიის XVI ყრილობისათვის მზადების დღეებში მიმდინარეობდა. ჩვენი რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა ამხილეს და დაგმეს ავანტიურისტ რუხაძის პროვოკაციული საქმიანობა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი ხელმძღვანელობის — ამხ. ა. მგელაძისა და მისი დამჭაშების მანკიერი სტილით მუშაობა. ამიტომ კონფერენციის დელეგატები მოელოდნენ, რომ უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში გათვალისწინებული იქნებოდა საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებში ჩატარებული ეს მუშაობა. მაგრამ, სამწუხაროდ, უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის მდივანი გ. ჭანუყვაძე დაკმაყოფილდა უნივერსიტეტის მუშაობაში არსებული მიღწევებისა და ზოგიერთი ნაკლის აღწუსხვით და მხოლოდ მოხსენების დასასრულს გაკვრით შეეხო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი მდივნის ა. მგელაძისა და მისი ამყოლების — ვ. ბალავაძისა და სხვების მუშაობის მანკიერ სტილს, მის უშუალო შედეგებს თვით უნივერსიტეტის საქმიანობაზე.

საანგარიშო მოხსენებამ ვერ დააკმაყოფილა მის მიმართ წაყენებული მოთხოვნები. მოხსენებაში ცენტრალური ადგილი არ ჰქონდა დათმობილი იდეოლოგიური მუშაობის საკითხებს. ეს გარემოება მკაფიოდ მიუთითებს იმაზე, რომ საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტში იდეოლოგიური მუშაობა სუსტად იყო დაყენებული. ამას ადასტურებს თუნდაც ამ რამდენიმე ხნის წინათ უნივერსიტეტში ჩატარებული დისპუტები, პროფესორ კ. ბაქრაძის წიგნის „ლოგიკისა“ და პროფესორ გ. ხავთასის შრომების შესახებ. ეს დისპუტები უფრო მეტად არაჯანსაღი დამოკიდებულებით, კინკლაობით ხასიათდებოდა, ვიდრე ნამდვილი, შემოქმედებითი სტიმულის მომცემი კრიტიკითა და თვითკრიტიკით. დისპუტებზე გამოსული ამხანაგების ნაწილი საქმიანად, კრიტიკულად კი არ განიხილავდა ამა თუ იმ შრომას, არამედ ცდილობდა მათი ავტორების გაბიაბრუებას, აბუჩად აგდებას, რაც ძველი ხელმძღვანელობის, განსაკუთრებით თბილისის საქალაქო კომიტეტის ყოფილი მდივნის ვ. ბალავაძის „მოღვაწეობის“ უშუალო შედეგი იყო. ზოგიერთი მოკამათე კი გაწბრახ არ ამჩნევდა ამ შრომებში დაშვებულ აშკარა შეცდომებს და უპრინციპოდ ხტუნას ასხამდა მათს ავტორებს. საანგარიშო მოხსენებაში ყოველივე ამაზე არაფერი იყო ნათქვამი. აღნიშნული არ იყო ისიც, რომ საქალაქო კომიტეტის ძველი ხელმძღვანელობა ნამდვილად ხელს უშლიდა იდეოლოგიური მუშაობის გაშლას უხეში ადმინისტრირებითა და უდანაშაულო ადამიანთა დასჯით.

პარტიული კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში ასახული არ ყოფილა უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს და რექტორატის მუშაობაც.

როგორც კონფერენციაზე აღინიშნა, ყველა ამ ნაკლოვანებათა მიზეზი ის იყო, რომ პარტიული კომიტეტი უნარიანად ვერ ხელმძღვანელობდა იდეოლოგიურ მუშაობას, რომ მისი როლი უნივერსიტეტის ცხოვრებაში დაქვეითებული იყო. საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების მუშაობა ვერ იდგა ჯეროვან სიმაღლეზე. ისინი კარგად ვერ უძღვებოდნენ იდეურ-პოლიტიკური მუშაობის, კადრების მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებით შეიარაღების საქმეს. ამის დადასტურება იყო თუნდაც მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის გამგის ლ. ებანოიძის გამოსვლა კონფერენციაზე. ეს გამოსვლა, როგორც კონფერენციაზე სამართლიანად აღინიშნა, მოუფიქრებელი და არასერიოზული იყო.

კამათში გამოსულმა დელეგატებმა — უნივერსიტეტის რექტორმა ნ. კეცხოველმა, პოლიტიკური ეკონომიის კათედრის გამგემ ი. ბაჯაძემ, ისტორიის ფაკულტეტის პარტორგანიზაციის მდივანმა დ. ჯაბიძემ, უნივერსიტეტის ალკ კომიტეტის მდივანმა თ. ბადურაშვილმა და სხვებმა ილაპარაკეს იმ ნაკლოვანებებზე, რომლებიც მათ ჰქონდათ მუშაობაში.

როგორც მოკამათეებმა აღნიშნეს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა უნივერსიტეტში ვერც რაოდენობრივად და ვერც ხარისხობრივად ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს. მართალია, უნივერსიტეტი ასრულებს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გეგმას, მაგრამ დაშუშავებული შრომების ნაწილი უხარისხოა და მეცნიერულად დაბალ დონეზე დგას. არის შემთხვევები, როცა მეცნიერი მუშაკები სამეცნიერო გეგმის შესრულების მიზნით კათედრაზე ადგენენ რამდენიმე წლის წინათ დაშუშავებულ, არააქტუალურ და დღევანდელობის თვალსაზრისით უხარისხო შრომებს. ნ. კეცხოველმა თავის სიტყვაში ხაზი გაუსვა იმ მავნე გავლენას, რომელიც საქართველოს კ. პ. ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის საქალაქო კომიტეტის ყოფილმა ხელმძღვანელობამ მოახდინა უნივერსიტეტის პარტორგანიზაციისა და რექტორატის მუშაობაზე.

კონფერენციაზე ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა საქართველოს კ. პ. ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ვ. ჩხიკვაძემ.

ვ. ჟელიძე.

სუხუმში ამუშავდა თევზის საკონსერვო კომბინატი, რომელიც ამზადებს და უკვე უშვებს შავი ზღვის საუკეთესო ჯიშის თევზების კონსერვს. სურათზე: საკონსერვო კოლოფების დამტვირთავ მანქანასთან.

ფოტო ი. ილიაძისა.

დროშები და პრემიები პირველ კვარტალში კარგი მუშაობისათვის

ლენინის სახელობის მაღაროს კოლექტივის გამარჯვება

ჭიათურა. („კომუნისტის“ კორ.). ჭიათურაში ცნობა მოვიდა, რომ წელს პირველ კვარტალში მოპოვებულ წარმატებათა გამო ლენინის სახელობის მაღაროს კოლექტივს მეტალურგიული მრეწველობის საწარმოთა შორის შეჯიბრებაში მიეკუთვნა პირველი ადგილი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა.

ჭიათურელი მაღაროელები ცნობას ლენინის სახელობის მაღაროს კოლექტივის გამარჯვების შესახებ შრომითი აღმავლობით უპასუხებენ, იბრძვიან იმისათვის, რომ ახალი შრომითი მიღწევებით აღნიშნონ საქართველოს კომპარტიის XVI ყრილობა.

მოწინავენი საქართველოს ქვანახშირის მრეწველობაში

საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის კომბინატში მოსკოვიდან მიღებულია დეპეშა, რომლითაც იუწყებიან, რომ სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტრომ და საკავშირო პროფსაბჭომ წელს პირველ კვარტალში მუშაობის შედეგების მიხედვით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია მიაკუთვნეს ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის კოლექტივს.

საკავშირო პროფსაბჭოს და სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშები და პირველი ფულადი პრემიები მიეკუთვნათ ახალციხის შახტმშენებლობის სამმართველოს, ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის მეხუთე შახტს და ტყვარჩელის შახტმშენებლობის მეორე სამშენებლო სამმართველოს.

მესამე პრემიები მიეკუთვნათ:

ახალციხის პირველი შახტის, ტყვარჩელშახტმშენის საბინაო მშენებლობის სამმართველოს და ახალციხეშახტმშენის მეორე და მესამე სამშენებლო სამმართველოების კოლექტივებს.

თბილისის მაკარონის ფაბრიკას — პირველი ადგილი

მიღებულია ცნობა, რომ სსრ კავშირის მსუბუქი და კვების მრეწველობის სამინისტროს და საკავშირო პროფსაბჭოს გადაწყვეტილებით 1953 წლის პირველ კვარტალში მაღალი საწარმოო წარმატებებისათვის თბილისის მაკარონის ფაბრიკის კოლექტივს მიეკუთვნა საკავშირო პროფსაბჭოს და სსრ კავშირის მსუბუქი და კვების მრეწველობის სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია 28.000 მანეთის რაოდენობით.

საპატიო ჯილდოს პასუხად ფაბრიკის კოლექტივმა საქართველოს კომუნისტური პარტიის XVI ყრილობის მოწვევის აღსანიშნავად იკისრა ახალი ვალდებულებანი.

გეგმების გადაჭარბებით შესრულება

○ **საქართველოს შამპანური ღვინის** კომბინატის საწარმოებმა აპრილის საწარმოო გეგმა შეასრულეს საგრძნობი გადაჭარბებით. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია: შამპანური ღვინო — 700 ბოთლი, სუფრის ღვინო — 600 დეკალიტრი, საკონიაკე სპირტი — 800 დეკალიტრი, არაყი — 600 დეკალიტრი. აპრილის საწარმოო დავალებათა შესრულებაში დაწინაურდნენ თბილისის შამპანური ქარხნის, ზესტაფონის ღვინის ქარხნის და ახალციხის ღვინის ქარხნის კოლექტივები.

○ **ბოლნისის ადგილობრივი** მრეწველობის კომბინატმა აპრილში გეგმის გადამეტებით გამოუშვა 21.000 მანეთის პროდუქცია — წისქვილის ქვები, ურმის თვლები და ავეჯი. კომბინატის კოლექტივმა იკისრა ახალი წარმატებებით შეხვდეს საქართველოს კომპარტიის XVI ყრილობას.

პრესის მიმოხილვის მაგივრად

ერთი სერიოზული შენიშვნა

1. ერთი სერიოზული ნაკლი

იდეოლოგიური მუშაობის, კადრების მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღების საკითხების შინაარსიანად და საქმის ცოდნით გაშუქება ჩვენი პრესის პირველი რიგის და მეტად კეთილშობილური ამოცანაა.

როგორ ასრულებს ამ ამოცანას ჭიათურის რაიონული გაზეთი **„კომუნისტური სიტყვა“**? ამ კითხვაზე მხოლოდ ერთი პასუხი შეიძლება გავცეთ: **არადამაკმაყოფილებლად.**

პარტიული განათლების ქსელში სასწავლო წლის დაწყების გაზეთმა 1952 წლის 16 ოქტომბრის ნომერში მიუძღვნა ვრცელი წერილი სათაურით „გულმოდგინედ ვემუშაოთ კადრების მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღებისათვის“. ეს წერილი ზერელეობისა და ზოგადობის ნიმუშს წარმოადგენს. მასში დასახელებული არ არის არც ერთი ორგანიზაცია, არც ერთი კონკრეტული ფაქტი.

ათი დღის შემდეგ გაზეთმა დაბეჭდა ინფორმაცია სათაურით „მეცადინეობის დაწყების პირველ დღეს“. აქ აღნიშნულია პარტიული განათლების ქსელის ნაკლოვანებები სოფელ ზოდში. გასული წლის 16 ნოემბერს გაზეთის ფურცლებზე გამოჩნდა კორეს-პონდენცია „მაღალ დონეზე დავაყენოთ წრის მუშაობა“. ამის შემდეგ გაზეთმა დიდი ხნით დაივიწყა იდეოლოგიური მუშაობის საკითხები და მხოლოდ მიმდინარე წლის 8 თებერვალს ვხვდებით გაზეთში მოკლე კორესპონდენციას — „ღრმად შევისწავლოთ XIX ყრილობის მასალები“.

პარტიული განათლების საკითხებზე გაზეთმა წელს დაბეჭდა მხოლოდ ოთხი კორესპონდენცია და ერთადერთი მოწინავე წერილი—„მოწოდების დონეზე დავაყენოთ კადრების პოლიტიკური სწავლების საქმე“. ამასთან მოწინავე წერილი საქმოდ კრიტიკული არ არის.

რედაქციის შეცდომაა, რომ არც მოწინავე წერილში და არც კორესპონდენციებში ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი იმაზე, თუ როგორ სწავლობს რაიონის პარტიული და საბჭოთა აქტივი, ინტელიგენცია ი. ბ. სტალინის კლასიკურ ნაშრომს „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“. გაზეთში აგრეთვე არაფერია ნათქვამი იმაზე, თუ რა ღონისძიებები ხორციელდება რაიონში ამ გენიალური ნაშრომის შესწავლისათვის.

გაზეთის ფურცლებზე ვხვდებით დაუდევრობისა და უპასუხისმგებლობის შემთხვევებს. მაგალითისათვის შეიძლება ავიღოთ პირველი თებერვლის ნომერი, რომელშიც მრავალი არაზუსტი გამოთქმა და უხეში შეცდომაა.

რედაქციის სერიოზული ნაკლია ისიც, რომ გაზეთის ფურცლებზე არ ჩანს ნაკლოვანებათა გაბედული კრიტიკა. აქა-იქ ვხვდებით მხოლოდ მოკრძალებულ, უკბილო შენიშვნებს, მაგრამ სამწუხაროდ ამ შენიშვნებსაც არავინ ეხმაურება. როგორც ჩანს, ჭიათურის რაიონში ნაკლებად აფასებენ პრესის სიგნალებს.

ყველაფერი ეს იმით უნდა აიხსნას, რომ პარტიის ჭიათურის რაიკომი კონკრეტულად არ ხელმძღვანელობს თავის გაზეთს, ხოლო რედაქციის კოლექტივი მთელი მონდომებით არ მუშაობს მის წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის — იდეოლოგიური მუშაობის საკითხების ღრმად და შინაარსიანად გაშუქებისათვის.

ეს გაზეთის სერიოზული შეცდომაა.

2. მკითხველი გაზეთის შესახებ

თელავის რაიონული გაზეთი **„კოლმეურნის ხმა“** ცუდად როდი ეხმაურება სადღეისო საკითხებს. გაზეთი სერიოზულ მუშაობას ეწევა მშრომელთა კომუნისტურად აღზრდისათვის, სისტემატურად აქვეყნებს სტატიებს, წერილებს, შენიშვნებს პარტიულ, სოფლის მეურნეობისა და სხვა საკითხებზე.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ გაზეთს აქვს ნაკლოვანებაც. იგი ჯერ კიდევ საკმაოდ არ აშუქებს მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობის გამოცდილებას, ნაკლებად ბეჭდავს სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელთა, აღმრიცხველთა და ტრაქტორისტთა წერილებს, სრულებით არაფერს წერს მისაბმელ მანქანაზე მომუშავის შესახებ, რომელიც ტრაქტორისტის მარჯვენა ხელია. იშვიათად შეხვდებით პარტიული ორგანიზაციების მდივნების წერილებს მათი მუშაობის გამოცდილებაზე. არ შეიძლება სატრაქტორო ბრიგადების ბრიგადირთა და კოლმეურნეობის მემინდვრეობის ბრიგადების ბრიგადირთა საწარმოო ურთიერთდახმარების საკითხი. ყურადღება არ ექცევა მექანიზატორების საყოფაცხოვრებო მდგომარეობის, მეცხოველეობის ფერმებში მექანიზაციის დანერგვის საკითხებს. კარგი იქნება გაზეთმა მისცეს აგრეთვე მოწინავე ადამიანების სურათებიც. გაზეთში მოწინავე წერილები ხშირად ორ სვეტზე თავსდება. ჩვენი აზრით, უკეთესია მოწინავე წერილის ქვეშ პატარა მასალაც მოთავსდეს.

ა. კირვალიძე,
თელავის მტს-ის დირექტორის მოადგილე პოლიტიკურ ნაწილში.

მეჯვრისხეველთა მაგალითისამებრ

მაიაკოვსკის რაიონის წითელხევის სასოფლო საბჭო ერთსულოვანი მოწონებით შეხვდა მეჯვრისხეველთა თაოსნობას ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის უხვი მოსავლის მოყვანისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ. ეს საკითხი ამ დღეებში განიხილა სასოფლო საბჭოს მორიგმა სესიამ და მთელი რიგი კონკრეტული ვალდებულებანი იკისრა. წითელხეველთა გადაწყვეტილებაში ნათქვამია, რომ მთელი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანენ 53 ცენტნერ ყურძენს, 16 ცენტნერ სიმინდს, 18 ცენტნერ ხორბალს, აბრეშუმის თვითეულ კოლოფ თესლზე მიიღებენ 40 კილოგრამ პარკს და სხვ.

სასოფლო საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებულია აგრეთვე სოფლის კეთილმოწყობა, კარგი სასოფლო გზების გაყვანა, გამწვანება, დეპუტატის ოთახის მოწყობა, კლუბისა და ბიბლიოთეკისათვის 1.200 მანეთის სასოფლო-სამეურნეო, პოლიტიკური და მხატვრული ლიტერატურის შეძენა.

სოციალისტურ შეჯიბრებაში წითელხეველებმა გამოიწვიეს ფერსათის სასოფლო საბჭო და შეუდგნენ ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებას.

სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისია, რომელსაც სათავეში უდგას დეპუტატი ვ. გრძელიძე, აქტიურად მონაწილეობს უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში. ამ კომისიის სხდომაზე განიხილეს თესვის მიმდინარეობის საკითხი; დეპუტატებსა და აქტივისტებს დაევალათ სისტემატური კონტროლი დააწესონ სამუშაოთა შესრულების ხარისხზე. მაგალითად, აგრონომ დ. მანჯავიძეს მიენდო ყოველ ხუთდღიურში აცნობოს კომისიას თესვის აგროტექნიკური წესების განხორციელების მიმდინარეობა.

სასოფლო საბჭოს დეპუტატები ახლა უფრო ნაყოფიერად მუშაობენ. ბევრია სახელობის კოლმეურნეობაში. მოწინავეა მევენახეობის № 3 ბრიგადა, რომელსაც დეპუტატი მ. ნატრიაშვილი ხელმძღვანელობს. ბრიგადამ ვაზებზე ადრე დაამთავრა 32 ჰექტარ ვენახში საგაზაფხულო სამუშაოები. ამავე კოლმეურნეობაში თავდადებული შრომით გამოირჩევა კოლმეურნე დეპუტატი ა. ენდელაძე, რომელმაც შარშან 400-ზე მეტი შრომადღე გამოიმუშავა. იგი წელს კიდევ უფრო კარგად მუშაობს.

დეპუტატთა ენერგიულ მუშაობაზე მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობიდანაც მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება. მევენახეობის პირველი ბრიგადის მერგოლური დეპუტატი ო. ფაქიძე მზრუნველობით უვლის თვითეულ ვაზს. რგოლის ყველა წევრი დაუღალავად იბრძვის 1953 წელს მაღალი მოსავლის მისაღებად. მათი ვალდებულებაა 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანონ 75 ცენტნერი ყურძენი.

სასოფლო საბჭოში შემავალ ორივე კოლმეურნეობაში საგრძნობლად გაძლიერდა საგაზაფხულო სამუშაოების ტემპი. დროულად დამთავრდა 50 ათასი ძირი ვაზის მყნობა, სავენახე ნიადაგის პლანტაჟი გაკეთდა 45 ჰექტარზე, მინერალური სასუქი შეტანილია 66 ჰექტარზე, დამზადებულია 98 ათასი ცალი ჭიგო.

მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში წარმატებით მიმდინარეობს როგორც სიმინდის, ისე სხვა კულტურების თესვა.

სასოფლო საბჭოს თვითეული დეპუტატისა და აქტივისტის საბრძოლო ამოცანაა პირნათლად შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება, მიაღწიოს იმას, რომ სოფელი უფრო კეთილმოწყობილი, კულტურული და შეძლებული გახდეს.

გ. მეფისაშვილი.

ლექციების ციკლი რაიონული აქტივისათვის

ცხაკაია. („კომუნისტის“ კორ.). საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შტატგარეშე ლექტორმა ამხ. ი. მაილიანმა პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო აქტივისათვის წაიკითხა ლექციების ციკლი, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია.

ლექციები წაკითხულ იქნა თემებზე: „ი. ბ. სტალინის სიტყვა პარტიის XIX ყრილობაზე“, „საბჭოთა კავშირის საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობა“, „კომუნისტური პარტია — საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალა, სსრ კავშირში კომუნიზმის მშენებლობის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორია“, „პარტიის XIX ყრილობის დირექტივები მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ“, „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდება პარტიული ცხოვრების ძირითადი კანონია“.

მეშახტეთა დაგაში

ახალციხე. („კომუნისტის“ კორ.). ახალციხელ მეშახტეთა დაბა ვალე ყოველწლიურად იცვლის სახეს, სულ უფრო კეთილმოწყობილი ხდება. უკანასკნელ ოთხ-ხუთ წელიწადში აქ აშენდა მუშათა ახალი საცხოვრებელი მრავალსართულიანი სახლები, სკოლა, აფთიაქის, კლუბ-სამკითხველოს, მაღაზიების, სასადილოების, პოლიკლინიკის შენობები და სხვა მნიშვნელოვანი ნაგებობანი. ამჟამად დიდი მუშაობაა გაჩაღებული დაბის გამწვანება-კეთილმოწყობისათვის.

დაბის ცენტრალური ქუჩის ორივე მხარეზე წელს დაირგო 20 ათასი ძირი თუთის ხე, ფიჭვი, ალვისხე და სხვ. საშეალო სკოლასა და კლუბთან გაშენდა სკვერები, 1 ჰექტარზე მოწყობილია სანერგე, ხოლო 2 ჰექტარზე — დეკორაციულ მცენარეთა ტყე-პარკი.

საგარეო მიმოხილვა

გავაუმჯობესოთ საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა

ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შემდეგ საკმაო დრო გავიდა. ახლად არჩეული ხელისუფლების ორგანოები ბევრგან უკვე ენერგიულად შეუდგნენ მუშაობას მათ წინაშე დასმული ახალი ამოცანების შესასრულებლად. როგორ გამოიყურება ამ მხრივ ქალაქ თბილისის 26 კომისრის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭო, როგორ ახორციელებს იგი ამომრჩეველთა მიერ მიცემულ განაწესს?

არჩევნების შემდეგ გაწეული მუშაობის გაცნობამ დაგვარწმუნა, რომ ამ ხნის განმავლობაში ბევრი საჭირბოროტო საკითხი მოაგვარა რაისაბჭოს აღმასკომმა დეპუტატებისა და მუდმივი კომისიების მონაწილეობით. ამ მხრივ გამოირჩევიან საბიუჯეტო, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისიები. მაგალითად, საბიუჯეტო კომისიამ შეისწავლა № 10 საბავშვო ბაგისა და № 18 საბავშვო ბაღის ფინანსური მდგომარეობა, ეს საკითხი განიხილა რაისაბჭოს აღმასკომმა და სათანადო ღონისძიებანი დასახა ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. ჯანმრთელობის დაცვის მუდმივმა კომისიამ მიზანშეწონილად ცნო შეესწავლა რაიონში ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის საქმე, ეს საკითხი მოემზადებინა რაისაბჭოს სესიაზე განსახილველად. მუდმივმა კომისიამ ამ საკითხის შესწავლაში ჩააბა დეპუტატები, აქტივი. ესენი არიან: ქ. კობრეიძე, რ. რიჟინაშვილი, ვ. მაღრაძე, ვ. მაჩაბელი, მ. ხუჯაძე, ლ. ალადაშვილი, ი. ბადიანი, ქ. წერეთელი და სხვები.

კომისიების მუშაობა უფრო ნაყოფიერი იქნებოდა, ყველა დეპუტატი სათანადო პასუხისმგებლობას რომ გრძნობდეს ამომრჩეველთა წინაშე. რაისაბჭოს აღმასკომმა დღემდე ვერ მოახერხა ახლოს გასცნობოდა ყველა დეპუტატს, მიეცა მათთვის მითითებანი თავის საარჩევნო ოლქში მუშაობის ახლებურად მოწყობისათვის. უფრო მეტი: რაისაბჭოს აღმასკომი არ აწყობს მუდმივი კომისიების თავმჯდომარეთა, მათ მოადგილეთა სემინარებს, იშვიათად იმართება ლექცია-საუბრები, მეთოდური ახსნა-განმარტება ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის საკითხებზე. მუდმივი კომისიები ჯერ კიდევ ნათლად ვერ ერკვევიან თავიანთ უფლება-მოვალეობაში.

თბილისის 26 კომისრის მშრომელთა დეპუტატების რაიონულ საბჭოს და მის დეპუტატებს ამომრჩევლებმა მრავალი განაწესი მისცეს, მაგრამ მათი განხორციელებისათვის საქმიანი მუშაობა ჯერ კიდევ არ გაუშლიათ.

შეიძლება ითქვას, რომ რაისაბჭოს ზოგიერთი მუდმივი კომისიის მუშაობა დღემდე ორგანიზაციულ გაფორმებას არ გასცილებია, რის გამო მრავალი საჭირბოროტო საკითხი მოუგვარებელია, ამომრჩეველთა წინადადებანი ხშირად უყურადღებოდ რჩება. მაგალითად, კახეთის გზატკეცილი, რომელიც 25 კომისრის რაიონის ფარგლებში შედის, დღემდე კეთილმოუწყობელია. ტრანსპორტის ხშირი მოძრაობის გამო გზა დაზიანებულია, ბევრგან დგება ტალახის გუბე, არასაკმაოდ აშენებენ მწვანე ნარგავებს და სხვ. ამის შესახებ წინასაარჩევნო კრებებზე ილაპარაკეს № 202 ოლქის ამომრჩევლებმა, ხოლო მიმდინარე წლის 3 აპრილს რაისაბჭოს მეორე სესიაზე დეპუტატმა ე. ანდრიასოვამ დასვა საკითხი კახეთის გზატკეცილის კეთილმოწყობისა და ნაეთლუღის უბნის სასმელი და სამეურნეო წყლით უზრუნველყოფის შესახებ.

ამავე სესიაზე საბინაო მეურნეობის მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ, დეპუტატმა გ. კირაკოზოვმა წამოაყენა საბინაო სამმართველოს სარემონტო კანტორისა და მისი სათავსოების ერთ ადგილზე თავმოყრის საკითხი. დღემდის სარემონტო კანტორა თავის საწყობს, გარაჟს და სხვა სათავსოებს რამდენიმე კილომეტრით არის დაშორებული, რაც ხელს უშლის მას მუშაობაში.

მიუხედავად ამისა, ეს საკითხები სესიის დადგენილებაში არ შეუტანიათ და არც ზემდგომი ორგანოების წინაშე დაუყენებიათ.

ეს ნაკლოვანებანი იმის შედეგიც არის, რომ რაისაბჭოს 216 დეპუტატი და აქტივისტები ჯერ კიდევ არ გაბმულან დასაყრდენი ძალა რაისაბჭოს მუშაობაში. მართალია, ზოგიერთი დეპუტატი და აქტივისტი (ექიმები ქ. ჩიქვაიძე, მ. ხაინდრავა, ნ. კარბელაშვილი, დიასახლისები თ. თაფლიაშვილი, ე. ბაგრატიანი, ე. თამარჩიანი და სხვები) იჩენს ინიციატივას და ეხმარება სათანადო განყოფილებებს მუშაობაში, მაგრამ ეს ყველაფერი როდია. საქმე ისე უნდა მოეწყოს, რომ ყველა დეპუტატი ჩაებას აქტიურ საზოგადოებრივ მუშაობაში, ჩაებას საკითხების მომზადებასა და განხილვაში.

დეპუტატები არ ხვდებიან თავიანთ ამომრჩევლებს; მართალია, ისინი სისტემატურად იკრიბებიან დეპუტატის ოთახში, რომელიც რაისაბჭოს აღმასკომის შენობაშია მოთავსებული, მაგრამ იგი კეთილმოწყობილი არ არის. აქ ვერ ნახავთ საჭირო ლიტერატურას და ჟურნალ-გაზეთებს, არ ეწყობა საუბრები, ლექციები, ახსნა-განმარტება საინტერესო საკითხებზე.

საჭიროა ავამაღლოთ ადგილობრივი საბჭოების როლი, მკვეთრად გავაუმჯობესოთ მათი ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა. თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომი ვალდებულია ქმედითად დაეხმაროს დედაქალაქის რაიონული საბჭოების აღმასკომებს მუშაობის გარდაქმნაში ახალი ამოცანების შესაბამისად.

ნ. ჯანჯღავა,
ს. შოკინა.

ქ. გურჯაანი. სტალინის სახელობის ქუჩა. კინოთეატრის ხედი (მარჯვნივ).

ფოტო გ. ვახტანგაძისა.

მეჯაღურგთა კულტურული დასვენებისათვის

რუსთავი. („კომუნისტის" კორ.). ჩვენი ქვეყნის საუკეთესო კურორტების — გაგრის, სოჭის, წყალტუბოს, კისლოვოდსკის, ბორჯომის, პიატიგორსკისა და სხვა სანატორიუმებში სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნიდან ყოველთვიურად ათობით მეტალურგი ისვენებს.

ბლუმინგის საამქროს მოწინავე გამხურებელმა ვ. ვეფხვიშვილმა შვებულება გაატარა კისლოვოდსკის სანატორიუმში. აქვე ისვენებდა ამავე საამქროს მუშა მ. დვალიშვილი, ხოლო მილნამზადის საამქროს ოსტატმა ე. საგუნმა, მილსაგლინავი საამქროს მუშამ გ. მუმლაძემ დაისვენეს გაგრისა და წყალტუბოს სანატორიუმებში.

ამჟამად სოჭის, თებერდის, წყალტუბოს, კისლოვოდსკის სანატორიუმებში ისვენებს ქარხნის ბევრი მუშაკი.

გათვალისწინებულია ზაფხულში სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში გაიგზავნოს მეტალურგიული ქარხნის 260 მუშა-მოსამსახურე. მათი ბავშვები კი მთელ ზაფხულს გაატარებენ სურამის პიონერთა ბანაკში.

სურნელოვანი ზეთები

ულამაზესი დეკორაციული ყვავილების და მცენარეების გარდა საქართველოში ბევრია ძვირფასი ეთერზეთოვანი კულტურების — ვასმინის (მსხვილყვავილოვანი იასამანი), ყაზანლიყის ვარდის, ლიმონის უროს, ტუბეროზის, გერანის, რეჰანის, ნარინჯის, ლიმონის ევკალიპტის და სხვა ძვირფასი სუბტროპიკული და ტროპიკული მცენარეების ნარგავები. ეს მცენარები უაღრესად მდიდარია ძვირფასი ეთეროვანი ზეთებით.

ეთეროვანი კულტურების ფართობები ყოველწლიურად იზრდება. ამ კულტურების გაშენებას მისდევენ გალის, ხორშის, ტამიშის და კოლხიდის საბჭოთა მეურნეობებში, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ბევრ კოლმეურნეობაში. მარტო გერანის, რეჰანის და ყაზანლიყის ვარდის პლანტაციები კოლმეურნეობებში 1.150 ჰექტარს აღწევს. ზოგიერთი მცენარე, მაგალითად, ლიმონის ევკალიპტი, რეჰანი, პაჩული, გერანი, მიუხედავად იმისა, რომ მოტანილია კუნძულ იავიდან, აფრიკიდან, ინდოეთიდან, ავსტრალიიდან და ძლიერ სითბომოყვარულია, შეეგუა ჩვენს პირობებს და საქართველოში ჰპოვა მეორე სამშობლო.

ვასმინი, რომელსაც საუკეთესო ეთეროვანი ზეთი აქვს, გაშენებულია ხორშის საბჭოთა მეურნეობაში. მისი სურნელოვანი ზეთით, რომელიც უმაღლესი ხარისხის პარფიუმერიისათვის იხმარება, საბჭოთა კავშირის მთელ სპარფიუმერიო მრეწველობას მხოლოდ საქართველო ამარაგებს.

ტროპიკული მცენარის პაჩულის სამშობლოა ინდოეთი, იავა და ფილიპინების კუნძულები. მისი ზეთი სუნამოს, ოდეკოლონისა და უმაღლესი პარფიუმერიის სხვა პროდუქციის საუკეთესო ფიქსატორია. ახლახან მის გაშენებას ხელი მოჰკიდეს კოლხიდის, ტამიშის და გალის საბჭოთა მეურნეობებში. საგრძნობლად დიდდება აგრეთვე ლიმონის უროს, რეჰანის, ნარინჯის და სხვა კულტურების პლანტაციები.

ქაფურის დაფნა კარგად ეგუება აჭარისა და აფხაზეთის ჰავას. წელს ჩვენში მას სამრეწველო მიზნით პირველად აშენებენ ტრესტ „საქეთერზეთის" ხორშის საბჭოთა მეურნეობაში.

უაღრესად ძვირფას სურნელოვან ზეთს იძლევა ყაზანლიყის ვარდი, რომლის დიდი პლანტაციები აქვთ ყვარლის, ლაგოდეხის, თელავისა და მარნეულის რაიონების კოლმეურნეობებს.

ავსტრალიის მკვიდრი — ლიმონის ევკალიპტი თავის სამშობლოში მრავალწლიანი მცენარეა. ეს კულტურა მკაცრ ზამთარს ვერ იტანს, ამიტომ ჩვენში მოჰყავთ, როგორც ერთწლიანი კულტურა. იგი საუკეთესო ხარისხის ეთეროვან ზეთს იძლევა.

ტრესტ „საქეთერზეთის" ქარხნების მიერ გამოხდილი მაღალხარისხოვანი ეთეროვანი ზეთები ეგზავნება საპარფიუმერიო მრეწველობას მოსკოვში, ლენინგრადში, ხარკოვში და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებში.

მშვიდობის დამცველთა მძლავრი ხმა—მსოფლიოს ხალხთა ბჭობა

გასული წლის დეკემბერში ავსტრიის დედაქალაქ ვენაში ჩატარდა ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესი.

კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს ესოდენ ფართო და წარმომადგენლობითი ხასიათის მსოფლიო კრება. ვენის კონგრესზე ერთმანეთს შეხვდნენ სხვადასხვა მსოფლმხედველობის, პოლიტიკური შეხედულების, რელიგიური რწმენისა და საზოგადოებრივი მდგომარეობის ადამიანები, ისინი მოვიდნენ დედამიწის ყველა კუთხიდან, რათა გზა გადაუღობონ ახალ ომს, დაიცვან ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების დიადი საქმე.

მშვიდობის დაცვის ვენის კონგრესის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო 85 ქვეყნიდან ჩამოსულმა 1.857 კაცმა.

ასობით მილიონი ადამიანის ყურადღება მიპყრობილი იყო ხალხთა მშვიდობის დაცვის ვენის კონგრესის მუშაობისადმი. ამიტომ მთელი მსოფლიოს კეთილი ნების ადამიანები უდიდესი ინტერესით ნახავენ ახალ ქრონიკალურ-დოკუმენტალურ ფილმს „მსოფლიოს ხალხთა ხმა", რომელშიც ნაჩვენებია ვენის კონგრესის მუშაობა.

სურათი შექმნილია საბჭოთა კინომუშაკებისა და ავსტრიის კინოს დემოკრატიული მოღვაწეების შემოქმედებითი თანამეგობრობის საფუძველზე (რეჟისორი ფ. კისელოვი, ტექსტი ა. სურკოვისა, ოპერატორები ვ. სომი, ფ. კოლერი, ხ. ფიქსი, დ. კასპი, ა. კოლომინი, ი. მონგლოვსკი და ა. ხავჩინი).

ფილმის პირველ კადრებში ნაჩვენებია მშვიდობის დაცვის ვენის კონგრესისადმი მიძღვნილი ახალგაზრდობის ესტაფეტა. ევროპის სახელმწიფოთა გზებზე მოჩანან ესტაფეტის მონაწილენი, მათი გადარბენა ქალაქიდან ქალაქამდე, საზღვრიდან საზღვრამდე.

დედამიწის ყველა კუთხიდან ვენისაკენ მიემგზავრებიან კონგრესის დელეგატები, მიჰქრიან მატარებლები, თვითმფრინავები, ოკეანის ტალღებს მიაპობენ გემები. ავსტრიის დედაქალაქში შეიკრიბნენ ცნობილი მეცნიერები, საზოგადო მოღვაწეები, ლიტერატურისა და ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენლები, მუშები, გლეხები.

ვენის „კონცერტჰაუზის" ვეებერთელა დარბაზი სავსეა ხალხით. კონგრესს ხსნის მშვიდობისათვის გამოჩენილი მებრძოლი, „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის" საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატი, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს თავმჯდომარე პროფესორი ფრედერიკ ჟოლიო-კიური. ჟოლიო-კიური მოუწოდებს დელეგატებს დაუცხრომლად იბრძოლონ მშვიდობის შენარჩუნებისათვის, რათა თავიდან აიცილონ ხალხებს ახალი ომის საფრთხე, მსოფლიო იხსნან ომის უდიდესი უბედურებისაგან.

ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიან სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები.

სიტყვას ამბობს ინდოეთის დელეგაციის მეთაური, მშვიდობის სრულიად ინდოეთის საბჭოს თავმჯდომარე დოქტორი სეიფუდინ კიტჩლუ. დელეგატები მჭეხარე ტაშით ხვდებიან მშვიდობისათვის გამოჩენილ მებრძოლს.

ფილმის ავტორები არ შემოიფარგლენ მარტო ვენის კონგრესის ჩვენებით. სურათის მრავალ კადრში ასახულია კაპიტალისტური ქვეყნების ხალხთა ბრძოლა ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ.

ეკრანზე ვხედავთ პარიზის მცხოვრებთა გრანდიოზულ დემონსტრაციას: საფრანგეთის დედაქალაქის ქუჩები სავსეა ხალხით. მოდიან ბასტილიის გმირთა შთამომავალნი და პარიზის კომუნართა შვილიშვილები. ისინი მოითხოვენ მშვიდობას და სამშობლოს დამოუკიდებლობას.

ფილმის შემდეგ კადრები გვიჩვენებენ საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გამოჩენილი მეცნიერის გო მო-ჟოს გამოსვლას კონგრესზე. გო მო-ჟო მოითხოვს სასწრაფოდ ჩაქრობილ იქნას ომის ხანძარი, რომელიც ათასობით ადამიანის სიცოცხლეს იწირავს კორეაში, ვიეტნამში, კამბოჯაში, ლაოსსა და მალაიაში.

კონგრესის მონაწილენი მჭეხარე ოვაციით ხვდებიან საბჭოთა ხალხის დელეგატებს. ისინი გულდასმით ისმენენ ი. ერენბურგის და ა. კორნეიჩუკის სიტყვებს. საბჭოთა ხალხი თავისი სოციალისტური სახელმწიფოს შექმნის პირველი ღღიდანვე დაუცხრომლად ახორციელებს მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის პოლიტიკას. საბჭოთა კავშირი მტკიცედ უჭერს მხარს ყველა ქვეყნის კეთილ ნების ადამიანებს, რომლებიც იბრძვიან მშვიდობისა და უშიშროების დიადი საქმისათვის.

ტრიბუნაზეა გმირი კორეელი ხალხის წარმომადგენელი დელეგატი ქალ კიმ ენ სენი. დიდხანს არ ცხრება ოვაცია, რომელიც ჭუბს, როგორც სიმბოლო კონგრესის მონაწილეთა სოლიდარობისა კორეის გმირი ხალხისადმი. კიმ ენ სენი მოუთხრობს დამსწრეთ ამერიკელ ინტერვენტთა შემაძრწუნებელ ბოროტმოქმედებაზე კორეაში. მისი სიტყვის ილუსტრაციას წარმოადგენენ ფილმში შეტანილი დოკუმენტალური კინოქრონიკის კადრები, რომლებიც ნათლად გვიჩვენებენ ამერიკელ იმპერიალისტთა საშინელ მხეცობას.

მშვიდობის დაცვის ვენის კონგრესის მიმდინარეობის დღეებში მოეწყო ავსტრიის დედაქალაქის მშრომელთა გრანდიოზული დემონსტრაცია, რომელიც რამდენიმე საათს გაგრძელდა. დემონსტრანტები მხურვალედ მიესალმნენ ხალხთა წარმომადგენლებს. მაყურებელს ღრმად რჩება ხსოვნაში ეს შესანიშნავი კადრები, მრავალ ენაზე გაისმის შეძახილები: მშვიდობა! მშვიდობა! მშვიდობა! დაღმადა, მაგრამ დემონსტრანტები კვლავ შეუწყვეტელ ნაკადად მოდიან ანთებული ჩირაღდნებით. კვლავ და კვლავ გაისმის ყველასათვის ძვირფასი სიტყვა — მშვიდობა!

ეი კონგრესის დელეგატები ეცნობიან კომისიის მასალებსა და ნივთიერ საბუთებს, რომლებიც ნათლად ადასტურებენ ამერიკელი ინტერვენტების მიერ კორეასა და ჩინეთში ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენების ფაქტებს. ამერიკელ იმპერიალისტებს სურთ ამ ბარბაროსული იარაღით გაელტინონ კორეის მშვიდობიანი მოსახლეობა, რომელიც გმირულად იბრძვის სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

მშვიდობის დაცვის კონგრესზე სიტყვით გამოდის გუსტა ფუჩიკოვა — ჩეხოსლოვაკიის სახალხო გმირის, გესტაპოელების მიერ წამებული მეზნებარე კომუნისტის იულიუს ფუჩიკის ქვრივი.

დელეგატები ღრმა პატივისცემით ხვდებიან იულიუს ფუჩიკის მეგობარსა და თანამებრძოლს. ფუჩიკოვამ თავისი გამოსვლა დაამთავრა კაცობრიობის ნათელი მომავლისათვის მებრძოლის ი. ფუჩიკის სიტყვებით: „ადამიანებო, მე თქვენ მიყვარდით, იყვარეთ ფხიზლად".

ფილმის დასასრულ კადრებში ნაჩვენებია ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესის საბოლოო სხდომა. მაყურებლის თვალწინ იშლება ისტორიული დოკუმენტების მიღების საზეიმო სურათი.

კონგრესის დელეგატები ერთხმად იღებენ მოწოდებას მსოფლიოს ხალხებისადმი და მიმართავს ხუთი დიდი სახელმწიფოს მთავრობებისადმი. კონგრესის მიმართვა საბჭოთა კავშირს, ამერიკის შეერთებული შტატების, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებს დაიწყონ მოლაპარაკება მშვიდობის პაქტის დასადებად, რათა მსოფლიო იხსნან უდიდესი უბედურებისაგან.

მიმდინარე წლის 27 აპრილს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა საბჭოთა მთავრობის პასუხი გაუგზავნა ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესის კომისიას.

საბჭოთა მთავრობამ განაცხადა, რომ ის მუდამ მზად არის ითანამშრომლოს სხვა სახელმწიფოთა მთავრობებთან საყოველთაო მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების მაღალი მიზნების მიღწევისათვის.

ფილმი „მსოფლიოს ხალხთა ხმა" ნათლად გვიჩვენებს მშვიდობის მომხრეთა უდიდეს ძალას, მათს ერთიანობასა და დარაზმულობას მშვიდობისა და უშიშროების დიად საქმის დასაცავად.

ნ. შველიძე.

იმპერიალიზმის დაქირავებული აგენტები

დ. ენუქიძე

ახალი ომის მომზადებისა და გაჩაღების საქმეში იმპერიალისტურ ბანაკს და პირველ რიგში მის წამყვან ძალას — ამერიკის იმპერიალიზმს უაღრესად დიდ სამსახურს უწევენ მემარჯვენე სოციალისტური პარტიები. ამიტომ მუშათა კლასისა და ყველა მშრომელის გმირულ ბრძოლაში ახალი ომის წინააღმდეგ, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მემარჯვენე სოციალისტური პარტიების საქმიანობის გამომჟღავნებას.

ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი არაერთხელ აღნიშნავდნენ, რომ სოციალ-დემოკრატიზმი ბურჟუაზიის იდეური და სოციალური დასაყრდენია და რომ ბრძოლა იმპერიალიზმის სოციალ-დემოკრატიულ აგენტურასთან მუშათა მოძრაობის რიგებში წარმოადგენს მუშათა კლასისა და ყველა მშრომელთა საარსებო ინტერესების დაცვის აუცილებელ პირობას.

ვ. ი. ლენინი წერდა: „პრაქტიკულად დამტკიცებულია, რომ მუშათა მოძრაობის შიგნით ის მოღალატენი, რომელნიც ოპორტუნისტულ მიმართულებას ეკუთვნიან, ბურჟუაზიის უკეთესი დამცველები არიან, ვიდრე თვით ბურჟუები".

ისევე როგორც წინათ, ახლაც სოციალ-დემოკრატია ასრულებს სამარცხვინო როლს იმპერიალისტური რეაქციის სამსახურში. საშინაო და საგარეო პოლიტიკის ყოველ საკითხში მემარჯვენე სოციალისტები გამოდიან ამერიკის იმპერიალიზმისა და თავისი ქვეყნის ბურჟუაზიის აგენტებად.

საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიამ, მისმა მემარჯვენე მიმდინარეობამ მუშათა კლასისა და რევოლუციური მარქსიზმისადმი აშკარა მტრობა გამოავლინა უკვე პირველი მსოფლიო ომის დროს. მეორე ინტერნაციონალის ყველაზე ძლიერმა სექციამ — გერმანიის სოციალ-დემოკრატიამ დაიჭირა გერმანიის იმპერიალიზმის წინაშე, მისი წაბაძვით სხვა ქვეყნების სოციალ-დემოკრატიაც მხარში ამოუდგა თავის იმპერიალისტურ ბურჟუაზიას და „საერთო მტრებზე ბრძოლაში გამარჯვებისათვის" იბრძოდა. მხოლოდ რუსეთის კომუნისტები, თანმიმდევრული მარქსისტები, ლენინისა და სტალინის მეთაურობით, ღიმოჩნდნენ მოწოდების სიმაღლეზე, ბრძოლა გამოეცხადებინათ იმპერიალისტურ ომს და ყველა ზომას ღებულნენ მის სამოქალაქო ომად გადაქცევისათვის. სოციალ-დემოკრატიული და სხვა ოპორტუნისტული პარტიების გაერთიანება — მეორე ინტერნაციონალი გაკოტრდა და დაიშალა.

ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ დაადასტურა მარქსიზმის გამარჯვება რეფორმიზმზე, ლენინიზმის გამარჯვება სოციალ-დემოკრატიზმზე.

დამარცხებულმა სოციალ-დემოკრატიამ გააფთრებით დაიწყო ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. აღდგენილ იქნა გახრწნილი და გაოტრებული მეორე ინტერნაციონალი. სწორედ სოციალ-დემოკრატია ცდილობდა მიეცა ბურჟუაზიისათვის იდეოლოგიური იარაღი პროლეტარული რევოლუციის წინააღმდეგ. ი. ბ. სტალინი აღნიშნავდა: „ახლანდელი სოციალ-დემოკრატიზმი კაპიტალიზმის **იდეური დასაყრდენია**", უფრო მეტიც — „...სოციალ-დემოკრატია... არის კაპიტალიზმის ძირითადი დასაყრდენი მუშათა კლასში ახალი ომებისა და ინტერვენციების მომზადების საქმეში".

პირველ და მეორე მსოფლიო ომებს შორის განვლილ პერიოდში, რომელიც ახალი ომის მომზადების პერიოდი იყო, სოციალ-დემოკრატია აწყარად იბრძოდა საერთაშორისო რეაქციის მხარეზე, პროლეტარული რევოლუციისა და მსოფლიოში ერთად-ერთი საბჭოთა სახელმწიფოს, სსრ კავშირის წინააღმდეგ, ხელს უწყობდა ახალი ომის მომზადებასა და გაჩაღებას.

საერთაშორისო სოციალ-დემოკრატია და მეორე ინტერნაციონალი მსოფლიო იმპერიალიზმთან ერთად პასუხისმგებელი არიან მეორე მსოფლიო ომის მომზადებისა და გაჩაღებისათვის.

ამ ომში საბჭოთა კავშირმა მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება მოიპოვა ფაშისტურ გერმანიასა და მილიტარისტულ იაპონიაზე. მსოფლიოში დიდი მნიშვნელობის პოლიტიკური და ეკონომიკური ხასიათის ძვრები მოხდა. ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში დამყარდა ახალი, სახალხო-დემოკრატიული რეჟიმი, აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში შეიქმნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა. მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის საერთო კრიზისი შემდგომ გაღრმავდა. კაპიტალიზმის საერთო კრიზისი ერთიანში მსოფლიო ბაზრის დაშლის გამო კიდევ უფრო გამწვავდა. საერთაშორისო იმპერიალისტური ბურჟუაზია ამ მდგომარეობიდან გამოსვლას ცდილობს ახალი მსოფლიო ომის მომზადებითა და გაჩაღებით. ასეთ ვითარებაში რეაქციული იმპერიალიზმი ისევე როგორც წინათ, ახლაც დიდ იმედებს ამყარებს მემარჯვენე სოციალისტურ პარტიებზე.

მემარჯვენე სოციალისტური პარტიებია ინგლისის ლეიბორისტული პარტია — ეტლისა და მორისონის ხელმძღვანელობით; საფრანგეთის სოციალისტური პარტია — გი-მოლეს ხელმძღვანელობით (ბლუმის გარდაცვალების შემდეგ); დასავლეთ გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია — ოლენჰაუერის მეთაურობით (შუმახერის გარდაცვალების შემდეგ); იტალიის სოციალ-დემოკრატიული პარტია — სარაგატასა და რომიტის ხელმძღვანელობით, ავსტრიის სოციალისტური პარტია — შერფის ხელმძღვანელობით და სხვები.

მართალია, ეს პარტიები მრავალრიცხოვანი არ არიან, მაგრამ მუშათა კლასში კიდევ ერთგვარი გავლენით სარგებლობენ. ამ პარტიების ძალების გაერთიანების მიზნით 1946 წელს ამერიკის იმპერიალისტების მითითებით და ინგლისის ლეიბორისტების ინიციატივით შეიქმნა „სოციალისტური პარტიების საერთაშორისო კონფერენციის კომიტეტი" (კომისკო), ვინაიდან იმ დროს ფაშიზმის დამარცხებისა და დემოკრატიული მოძრაობის აღმავლობის პერიოდში ოფიციალურად „ინტერნაციონალის" შექმნას ამ რეაქციული პარტიების ლიდერები ვერ ბედავდნენ. კომისკომ სათანადო სამსახური გაუწია იმპერიალისტურ რეაქციას მის მზადებაში ომისათვის.

თანამედროვე მემარჯვენე სოციალიზმი ბერნშტეინის დროინდელი კლასიკური რევიზიონიზმის უბრალო გამეორება როდია. ახლანდელი მემარჯვენე სოციალისტების ლიდერებისათვის მეორე ინტერნაციონალის ოპორტუნისტული ფორმულებიც კი შემავიწროებელია. მემარჯვენე სოციალისტები, რომლებიც იკვებებიან ყოველგვარი ანტისაბჭოთა და ანტიკომუნისტური ცილისწამებით, აშკარად გადავიდნენ იმპერიალიზმისა და ომის ბანაკში; მემარჯვენე სოციალისტები ამერიკის იმპერიალიზმის აგენტები არიან.

„დემოკრატიული სოციალიზმი" და „მესამე ძალა" წარმოადგენენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ იმპერიალისტური რეაქციის და აგრესიის საზიზღარ საფარს. „დემოკრატიული სოციალიზმი" და „მესამე ძალა" უარყოფენ პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის ინტერესების წინააღმდეგობას, უარყოფენ კლასთა ბრძოლას, ქადაგებენ ეგრეთწოდებულ „წმინდა" დემოკრატიას.

დამახასიათებელია, რომ იმპერიალისტები არ ფარავენ მემარჯვენე სოციალისტების მათს სამსახურში ჩადგომას. 1948 წლის 15 იანვარს ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა თავის განცხადებაში აღნიშნა: „სოციალისტები ეკუთვნიან ევროპაში კომუნიზმის წინააღმდეგ უძლიერეს დასაყრდენთა რიცხვს".

1951 წლის ზაფხულში ქ. ფრანკფურტში წინათ არსებული კომისკოს საფუძველზე ჩამოყალიბებულ იქნა „სოციალისტური ინტერნაციონალი".

ცოცხლად გახრწნილი, ორჯერ გაკოტრებული მეორე ინტერნაციონალის აღდგენის ცდები წამოწყებულ იქნა ვაშინგტონის პირდაპირი მითითებით იმ მიზნით, რომ გაეაქტიურებინათ მემარჯვენე სოციალისტების გამთიშველი მუშაობა საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში, გამოეყენებინათ იმპერიალიზმის ეს აგენტურა ძირგამომხრელი მუშაობისათვის სსრ კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ. ახლად გამოჩეკილმა „ინტერნაციონალმა" ფარდოდ გაშალა თავისი მოღალატური მუშაობა.

1952 წლის 17 ოქტომბერს მილანში მოეწყო ე. წ. „სოციალისტური ინტერნაციონალის" „ყრილობა". „ყრილობას" ესწრებოდნენ სოციალისტური პარტიების მოღვაწენი, რომელთაც თავიანთ სპეციალობად გაიხადეს მუშათა კლასის ინტერესების ღალატი, თავიანთი ქვეყნებით ვაჭრობა, ამერიკის იმპერიალისტების სამსახური, სიცრუე და ცილისწამება საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებზე. „ყრილობაზე" კიდევ ერთხელ გამოვლინდა, რომ მემარჯვენე სოციალისტები აშკარა მოწინააღმდეგეები არიან მშვიდობის დაცვის საერთაშორისო მოძრაობისა, სავსებით უჭერენ მხარს აგრესიულ ჩრდილოეთ-ატლანტიკის ბლოკს, გერმანიის შეიარაღებას, „ევროპის არმიის" შექმნას, „შუმანის გეგმის" საფუძველზე ქვანახშირ-ფოლადის კარტელის შექმნას. მილანის „ყრილობამ" აზრი გამოთქვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დაშვების წინააღმდეგ და მხარი დაუჭირა ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების იდეას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების გადასინჯვის სასარგებლოდ, რათა უშიშროების საბჭოში ლიკვიდირებულ იქნას დიდი სახელმწიფოების ერთხმივობის პრინციპი. „სოციალისტური ინტერნაციონალის" საბჭო შეშფოთდა იმით, რომ აზიის ქვეყნების სოციალისტური პარტიების მიერ განზრახული ცალკე კონგრესის მოწვევა რანგუნში გამოიწვევდა აზიის სეპარატული „ინტერნაციონალის" ჩამოყალიბებას და ამიტომ გადაწყვეტილ იქნა რანგუნში „ეტლისა და ძლიერი დელეგაციის გაგზავნა", რათა ცდილყვნენ შეენარჩუნებინათ მწყობრში სოციალისტები.

აზიის ქვეყნების მემარჯვენე სოციალისტების შეკრება რანგუნში მოეწყო 1953 წლის 6-15 იანვარს. შეკრებაზე წარმოდგენილი იყო თერთმეტი ქვეყანა — ბირმა, ინდოეთი, იაპონია, მალაია, ისრაელი, ინდონეზია, პაკისტანი, ლიბანი, სირია, ერაყი და ეგვიპტე. შეკრებას მეთვალყურეობა წესით ესწრებოდნენ „სოციალისტური ინტერნაციონალის" წარმომადგენლები — ეტლი (ინგლისი), გი-მოლე (საფრანგეთი), ბერკი (შვეცია) და სხვ. იუგოსლავიის „მეთვალყურეებს" მეთაურობდა პროფ. ჯ. შუში ჯილასი.

კონფერენციის მოწვევის წინ მისმა ინიციატორებმა — ბირმის, ინდოეთისა და ინდონეზიის სოციალისტურმა პარტიებმა გამოქვეყნეს ე. წ. „სოციალიზმის პრინციპები და მიზნები". კონფერენციის მთავარი მიზანი იყო შეექმნა აზიის ქვეყნებში დასაყრდენი იმპერიალისტური რეაქციისათვის მის მისწრაფებაში — ჩაახშოს ყოველდღიურად მზარდი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, გაუსწორდეს პროგრესულ ძალებს, რომლებიც გამოდიან აზიის ხალხების ეროვნული და დემოკრატიული ინტერესების დასაცავად. ინგლისური გაზეთი „სანდი ტაიმსი" აღნიშნავდა კონფერენციის მუშაობის დროს, რომ „ამერიკის ახალი პოლიტიკა, რომელიც მიმართულია აზიაში ერთიანი ფრონტის შექმნისაქენ, იღებს კონკრეტულ ფორმას".

კონფერენციამ შექმნა აზიის სოციალისტური პარტიების ცალკე მუდმივმოქმედი

კორეის ამბები

სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 4 მაისი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის დღევანდელ ცნობაში ნათქვამია, რომ განვლილი დღის მანძილზე კორეის სახალხო არმიის შენაერთები და ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილები ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებს აწარმოებდნენ ფრონტის ცალკეულ უბნებზე.

დღეს სახალხო არმიის სანაპირო არტილერიამ კირინდოს და ხაჩარადოს ჯუნძულების რაიონში ჩაძირა მოწინააღმდეგის ერთი საესკადრო ნაღმოსანი.

სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა და თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მოწინააღმდეგის 5 თვითმფრინავი.

მოლაპარაკება კორეაში დაზავების შესახებ

პეკინი, 4 მაისი. (საკდესი). სინხუას სააგენტოს კორესპონდენტი კესონიდან გადმოგვცემს კორეაში დაზავების შესახებ მოლაპარაკებაზე კორეა-ჩინეთის დელეგაციის მიერ დღეს გამოქვეყნებული კომუნიკეს შემდეგ ტექსტს:

ორივე მხარის დელეგაციები ერთმანეთს შეხვდნენ 4 მაისს. კორეა-ჩინეთის მხარის დელეგაციის მეთაურმა გენერალმა ნამ ირმა სხდომაზე განაცხადა:

„ჩვენი წინადადება ნეიტრალურ სახელმწიფოში იმ სამხედრო ტყვეების გაგზავნის შესახებ, რომელთა უშუალო რეპატრიაცია არ ხდება, გონივრული, პრაქტიკული და კონკრეტულია. ჩვენი წინადადება ითვალისწინებს, რომ დამტყვევებელმა მხარემ ის სამხედრო ტყვეები, რომელთა უშუალო რეპატრიაცია არ ხდება, უნდა გაგზავნოს ნეიტრალურ სახელმწიფოში, რომლის კანდიდატურა შეთანხმებულია ორივე მხარის მიერ, და ეს სამხედრო ტყვეები გაათავისუფლოს თავისი სამხედრო კონტროლისაგან. შემდეგ ამ ნეიტრალური სახელმწიფოს ხელისუფლებამ უნდა მიიღონ სამხედრო ტყვეები და თავიანთ მზრუნველობაში აიყვანონ ისინი ამ ხელისუფალთა მიერ განსაზღვრულ რაიონში.

ჩვენი წინადადება აგრეთვე ითვალისწინებს, რომ ნეიტრალური სახელმწიფოს ხელისუფალთ უნდა ექნეთ უფლება თავიანთი კანონიერი ფუნქციები და მოვალეობანი განახორციელონ იმ სამხედრო ტყვეებისადმი კონტროლის საქმეში, რომლებიც დროებით იქნებიან მათს იურისდიქციაში. როცა იმ სამხედრო ტყვეებს, რომლებიც სამშობლოში უშუალოდ არ ბრუნდებიან, გაგზავნიან ნეიტრალურ სახელმწიფოში, რომლის კანდიდატურა შეთანხმებული იქნება ორივე მხარის მიერ, და გაათავისუფლებენ მათ დამტყვევებელი მხარის მიერ, და მისი სამხედრო კონტროლისაგან, გამორიცხული იქნება წარმოშობა საკითხისა სამხედრო ტყვეთა ძალად დაკავების შესახებ მათი დამტყვევებელი მხარის მიერ, და მისი სამხედრო კონტროლის შესახებ. ამიტომ ჩვენი წინადადება გონივრულია. მეორე მხრივ, ნეიტრალური სახელმწიფოს ხელისუფალთ უნდა ექნეთ უფლება განახორციელონ თავიანთი კანონიერი ფუნქციები და მოვალეობანი სამხედრო ტყვეების საქმეში, რომლებიც დროებით იქნებიან მათს იურისდიქციაში. მაგალითად, ისინი გამოჰყოფენ საჭირო შეიარაღებულ ძალებს ამ სამხედრო ტყვეების დასაცავად. ეს არის სწორედ პრაქტიკული გადაწყვეტა საკითხისა, რომელიც უნდა მოწესრიგდეს. თქვენს მხარეს დღემდე არ მოუყვანია არც ერთი მისაღები მოსაზრება ჩვენი მხარის გონივრული და პრაქტიკული წინადადების წინააღმდეგ.

თქვენი მხარე ილაშქრებს ნეიტრალურ სახელმწიფოში იმ სამხედრო ტყვეების გაგზავნის წინააღმდეგ, რომელთა უშუალო რეპატრიაცია არ ხდება, და მოითხოვს, რომ ეს სამხედრო ტყვეები დარჩნენ წინანდელ ადგილებზე და ამისათვის გამოყენებულ იქნას ნაგებობანი, რომლებიც დემილიტარიზებული იქნება. მაგრამ, თუ ეს სამხედრო ტყვეები ნეიტრალურ სახელმწიფოში არ გაიგზავნენ, როგორღა შეიძლება სავსებით მოისპოს მათი დამტყვევებელი მხარის სამხედრო კონტროლი, რომ ეს სამხედრო ტყვეები განთავისუფლდნენ დამტყვევებელი მხარის გავლენისაგან? როგორ შეიძლება ნეიტრალურმა სახელმწიფომ უზრუნველყოს ამავე დროს ამ სამხედრო ტყვეების ეფექტიანი მიღება თავის მზრუნველობაში და წესრიგის დაცვა მათი განლაგების ადგილებში?“.

დღევანდელ სხდომაზე მეორე მხარეს არავითარი პასუხი არ გაუცია გენერალ ნამ ირის მოსაზრებებზე. მან დაასახელა პაკისტანის კანდიდატურა როგორც ნეიტრალური სახელმწიფოსი, რომელიც დროებით აიყვანს თავის მზრუნველობაში სამხედრო ტყვეებს, რომელთა უშუალო რეპატრიაცია არ ხდება. გენერალმა ნამ ირმა აღნიშნა: „როგორც უკვე არაერთგზის განუმარტავს ჩვენს მხარეს, ვეყრდნობით რა იმ წანამძღვარს, რომ სამხედრო ტყვეები, რომელთა უშუალო რეპატრიაცია არ ხდება, უნდა გაიგზავნონ ნეიტრალურ სახელმწიფოში, რომლის კანდიდატურა შეთანხმებულია ორივე მხარის მიერ, ჩვენი მხარე მზად არის დაასახელოს აზიის ნეიტრალური სახელმწიფოს კანდიდატურა. ჩვენ კვლავ მიგვაჩნია, რომ ორივე მხარემ უწინარეს ყოვლისა უნდა მიიღოს პრინციპი იმ სამხედრო ტყვეთა გაგზავნისა ნეიტრალურ სახელმწიფოში, რომელთა უშუალო რეპატრიაცია არ ხდება, და უკვე შემდეგ გადავიდნენ ნეიტრალური სახელმწიფოს კონკრეტული კანდიდატურის დასახელებაზე“.

კორეაში ავადმყოფ და დაჭრილ სამხედრო ტყვეთა გაცვლის გამო

პეკინი, 4 მაისი. (საკდესი). სინხუას სააგენტოს კორესპონდენტმა 3 მაისს კესონიდან გადმოგვცა:

დღეს სამშობლოში დაბრუნდა კორეა-ჩინეთის მხარის ავადმყოფ და დაჭრილ სამხედრო ტყვეთა უკანასკნელი ჯგუფი, რომელიც შედგება 80 ჩინელი მოხალისისა და კორეის სახალხო არმიის შემადგენლობის 105 სამხედრო ტყვისაგან. რეპატრიირებულთა შორის 21 ქალია.

დღეს რეპატრიირებულ ჩინელ მოხალისეთაგან ბევრი დაჭრილ იქნა რეპატრიაციის წინ, როცა ამერიკელები თავს დაესხნენ მათ და შხამიანი გაზები იხმარეს. ეს თავდასხმა მოხდა 30 აპრილს. ამ დღეს 75 ტყვე ჩინელმა მოხალისემ, რომლებიც რეპატრიაციისათვის შეკრიბეს № 8 ბანაკში ჩეჯუდოზე, თავისი წარმომადგენელი აირჩია იმისათვის, რომ ნებართვა ეთხოვა ამერიკელებისათვის — გამოთხოვებოდნენ ბანაკში დარჩენილ თავიანთ ამხანაგებს. ამერიკელებმა მხეცურად სცემეს ამ წარმომადგენელს.

ნაშუადღევს, დაახლოებით 14 საათსა და 50 წუთზე ამერიკელებმა სამჯერ შეაგდეს 200-ზე მეტი შხამიანი გაზის გრანატი იმ სექტორში, სადაც ეს სამხედრო ტყვეები იმყოფებოდნენ. სამხედრო ტყვეთა მეტმა ნაწილმა გრძნობა დაკარგა. გრანატების აფეთქებამ დაანგრია და ცეცხლი გაუჩინა კარვებს, რომლებშიც სამხედრო ტყვეები იმყოფებოდნენ. გრძნობა დაკარგული ბევრი ავადმყოფი და დაჭრილი სამხედრო ტყვის ტანსაცმელს ცეცხლი წაეკიდა.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობა

ფხენიანი, 3 მაისი. (საკდესი). კორეის ცენტრალურმა დეპეშათა სააგენტომ გადმოსცა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობა, რომელშიც ნათქვამია:

1953 წლის 6 აპრილს საბჭოთა მთავრობამ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას გადასცა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის თხოვნა ჩრდილოეთ კორეაში ინტერნირებული ამერიკელი მოქალაქეების განთავისუფლებისა და სამშობლოში გაგზავნის შესახებ.

განიხილა რა ზემოაღნიშნული თხოვნა, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ მიიღო დადებითი გადაწყვეტილება ამ საკითხზე.

30 აპრილს შვიდივე ინტერნირებული ამერიკელი მოქალაქე ქალაქ ანდუნში (ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა) გადაეცა საბჭოთა წარმომადგენლებს სამშობლოში მათი გაგზავნის მიზნით.

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის პასუხი ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესის კომისიის წერილზე

ბუქარესტი, 4 მაისი. (საკდესი). რუმინეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება:

რუმინეთის მთავრობამ ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესის კომისიას პასუხი გაუგზავნა იმ წერილზე, რომელშიც კომისია სთხოვს მხარი დაუჭიროს მას ხუთი დიდი სახელმწიფოსადმი მიმართვის საკითხში.

რუმინეთის მთავრობის პასუხში ნათქვამია:

ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესის კომისიას.

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა გაეცნო ამერიკის შეერთებული შტატების, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებისათვის გაგზავნილ მიმართვას მშვიდობის პაქტის დადების შესახებ, აგრეთვე იმ წერილის შინაარსს, რომელშიც თქვენ სთხოვთ რუმინეთის მთავრობას მხარი დაუჭიროს იმ ღონისძიებებს, რომლებიც მიიღეთ თქვენ ამ პაქტის დადების მიზნით.

გამოხატავს რა რუმინელი ხალხის ღრმა ერთგულებას მშვიდობისა და ხალხთა შორის თანამშრომლობის საქმისადმი, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა მიესალმება ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესის ამ ინიციატივას, რადგან დარწმუნებულია, რომ ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის შეთანხმება და მშვიდობის პაქტის დადება ბოლოს მოუღებს ახლანდელ საერთაშორისო დაძაბულობას და მოსპობს ახალი ომისა და ახალ უბედურებათა საფრთხეს კაცობრიობისათვის.

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა დარწმუნებულია, რომ მოლაპარაკებისა და შეთანხმების გზით, რაც ემყარება დაინტერესებული ქვეყნების გულწრფელ მისწრაფებას მშვიდობისადმი, შეიძლება მიღწეულ იქნას ყველა სადავო საკითხის მოწესრიგება, რაც განამტკიცებს საყოველთაო მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების საქმეს.

რუმინელი ხალხი, რომელიც ახორციელებს დიად მშენებლობას თავისი ძატერიალური და კულტურული დონის განუწყვეტელი ამაღლების მიზნით, ღრმად არის დაინტერესებული მშვიდობის კეთილშობილური საქმის გამარჯვებით, რომელსაც ახმარს მთელ თავის შემოქმედებით ენერგიას; იგი ღრმად არის დაინტერესებული მსოფლიოს ყველა ხალხის თანასწორუფლებიანობაზე დამყარებული თანამშრომლობის დაწესებით და აფასებს ამ მიმართულებით მიღებულ ყველა ღონისძიებას.

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა, რომელსაც შეგნებული აქვს ის პასუხისმგებლობა, რაც ეკისრება ყოველ ქვეყანას მშვიდობის დაცვისათვის ბრძოლაში, მტკიცედ უჭერს მხარს თქვენ მიერ მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების ინტერესებისათვის მიღებულ ღონისძიებებს.

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის სახელით მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გეორგე გეორგიუ-დეჟი.

მშვიდობის პაქტისათვის! ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის!

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის წერილი „თავისუფალ პროფკავშირთა საერთაშორისო კონფედერაციის“ ხელმძღვანელობისადმი

ვენა, 5 მაისი. (საკდესი). პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციამ გამოაქვეყნა წერილი „თავისუფალ პროფკავშირთა საერთაშორისო კონფედერაციის“ ხელმძღვანელობისადმი. წერილში ნათქვამია:

„პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია კვლავ მიაქცევს თქვენს ყურადღებას იმას, რომ კაპიტალისტური ქვეყნებისა და კოლონიების მშრომელთა ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა უარესდება.

სოციალური დაზღვევისა და სოციალური უზრუნველყოფის დაცვის, გაუმჯობესებისა და გაფართოების საკითხზე ვენაში მიმდინარე წლის მარტში გამართულმა საერთაშორისო კონფერენციამ, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 59 სხვადასხვა ქვეყნის 266 დელეგატმა, რომლებიც წარმოადგენდნენ პროფკავშირულ ორგანიზაციებს, სხვადასხვა ასოციაციასა და თვალსაჩინო სპეციალისტებს, აღნიშნა:

„კოლონიური, ნახევრადკოლონიური და კაპიტალისტური ქვეყნების ასობით მილიონი მამაკაცი და ქალი ცხოვრობს სიღატაკის და ხვალინდელი დღისადმი რწმენის უქონლობის პირობებში. ამ ურწმენობას ქმნის სხვადასხვა მიზეზი. ავადმყოფობის შემთხვევაში მშიერი არსებობის საფრთხე, არასაკმარ სამედიცინო მომსახურება, უმუშევრობის ზრდა, როცა ათობით მილიონი ახალგაზრდა ადამიანი სამუშაოს ვერ შოულობს, საწარმოებში შრომის დაცვისა და უსაშიშროების ტექნიკის დაბალი დონე, ნორმალური საბინაო პირობებისა და საკმაო კვების უქონლობა, ფასების განუწყვეტელი ზრდა, ხელფასის შემცირება საერთოდ და ქალების ხელფასისა განსაკუთრებით“.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია, რომელსაც თავის მოვალეობად მიაჩნია დაიცვას მუშათა კლასის საარსებო მოთხოვნები, მოგიწოდებთ ვიმოქმედოთ ერთობლივად კაპიტალისტური და კოლონიური ქვეყნების მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლებისათვის, უმუშევრობის წინააღმდეგ, სოციალური დაზღვევისა და სოციალური უზრუნველყოფის გაუმჯობესებისა და გაფართოებისათვის. ასეთი თანამშრომლობის განხორციელების მიზნით პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია მოუწოდებს თქვენს ორგანიზაციას მიმართოს სოციალური დაზღვევისა და სოციალური უზრუნველყოფის დაცვის, გაუმჯობესებისა და გაფართოების საკითხზე საერთაშორისო კონფერენციის მემორანდუმს, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციას გაეგზავნა, და მხარი დაუჭიროს ამ კონფერენციაზე მიღებულ სოციალური დაზღვევის პროგრამას.

პროფკავშირული ორგანიზაციები მოწოდებულნი არიან გამოთქვან მშრომელთა კანონიერი მისწრაფება თავიანთი ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებისადმი. დღეგანდელ პირობებში მშრომელებს აკისრიათ გამალებული შეიარაღების მთელი ტვირთი. ეს ნიშნავს, რომ, თუ მიღწეულ არ იქნა მშვიდობა, ისინი ვერ აიმაღლებენ ცხოვრების მატერიალურ და კულტურულ დონეს.

ეს სამართლიანი რწმენა, რასაც ყველა მშრომელი იზიარებს, პროფკავშირულ ორგანიზაციებს ავალებს გამოიყენონ ყოველი შესაძლებლობა, რათა იხმარონ ერთობლივი ღონისძიებანი მთელ მსოფლიოში მშვიდობის დასამყარებლად და შესანარჩუნებლად.

ყველა ქვეყნის ასობით მილიონი ადამიანი მომართავს ხუთ დიდ სახელმწიფოს მტკიცე მოწოდებით — დადონ მშვიდობის პაქტი.

ამჟამად, როცა შექმნილია კორეის საკითხის მშვიდობიანი გადაწყობა და კორეაში სისხლისღვრის შეწყვეტის პირობები, საჭიროა მივაღწიოთ იმის მტკიცე გარანტიებს, რომ ხალხთა მშვიდობა და უშიშროება საიმედოდ იქნება დაცული თვითეული ქვეყნის დამოუკიდებლობის დაცვის პირობებში. ამიტომ მოგმართავთ წინადადებით — ვიმოქმედოთ ერთობლივად, რათა მხარი დავუჭიროთ სახალხო მოძრაობას და დავამთავროთ იგი ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადებით.

ჩვენ კვლავ დარწმუნებული ვართ, რომ საჭიროა ჩვენი ორი ორგანიზაციის წარმომადგენელთა შეხვედრა ყოველი ინიციატივის განსახილველად, რაც ხელს შეუწყობს მთელ მსოფლიოში მშვიდობის დაცვას, აგრეთვე იმ პრობლემების განსახილველად, რომლებიც შეეხება მშრომელთა ეკონომიკურ და სოციალურ საჭიროებათა დაკმაყოფილებას.

თუ შეთანხმებულად ვიმოქმედებთ, ამით გამოვხატავთ მშრომელთა მისწრაფებას ერთიანობისადმი, შევასრულებთ ამოცანებს, რომლებიც დასახულია ჩვენს წინაშე მშრომელთა ინტერესების დაცვის საქმეში“.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელი ბიუროს სახელით წერილს ხელს აწერენ: პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის თავმჯდომარე ჯუზეპე დი ვიტორიო, გენერალური მდივანი ლუი საიანი.

საფრანგეთის მუნიციპალური არჩევნების მეორე ტური

პარიზი, 4 მაისი. (საკდესი). გუშინ 18 ათას კომუნაში (სადაც მოსახლეობა 9 ათასი კაცი და უფრო ნაკლებია) გაიმართა მუნიციპალური არჩევნების მეორე ტური კენჭისყრის მაჟორიტარული სისტემის გამოყენებით და პოლიტიკური პარტიების ურთიერთშორის ბლოკირებით. კენჭისყრის მეორე ტური გაიმართა იქ, სადაც პირველ ტურში 26 აპრილს ვერც ერთმა პარტიამ ვერ შეძლო საჭირო რაოდენობის ხმის მოგროვება.

გუშინდელმა კენჭისყრამ ცხადყო, რომ კომუნისტურმა პარტიამ შეინარჩუნა თავისი წინანდელი პოზიციები. აქამდე მიღებული ცნობებით, კომპარტიამ შეძლო მოეპოვებინა მეტი ადგილი 27 მუნიციპალიტეტში.

სოციალისტებთან მოქმედების ერთიანობის შედეგად კომუნისტური პარტიის მიერ წარდგენილი პროგრამა-მინიმუმის საფუძველზე მთელ რიგ ადგილებში წამოყენებულ იქნა ამ ორი პარტიის კანდიდატთა საერთო სია, რომლებმაც გამარჯვება მოიპოვეს 17 მუნიციპალიტეტში. სამოსპობს ახალი ომისა და ახალ უბედურებათა საფრთხეს კაცობრიობისათვის.

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა დარწმუნებულია, რომ მოლაპარაკებისა და შეთანხმების გზით, რაც ემყარება დაინტერესებული ქვეყნების გულწრფელ მისწრაფებას მშვიდობისადმი, შეიძლება მიღწეულ იქნას ყველა სადავო საკითხის მოწესრიგება, რაც განამტკიცებს საყოველთაო მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების საქმეს.

რუმინელი ხალხი, რომელიც ახორციელებს დიად მშენებლობას თავისი ძატერიალური და კულტურული დონის განუწყვეტელი ამაღლების მიზნით, ღრმად არის დაინტერესებული მშვიდობის კეთილშობილური საქმის გამარჯვებით, რომელსაც ახმარს მთელ თავის შემოქმედებით ენერგიას; იგი ღრმად არის დაინტერესებული მსოფლიოს ყველა ხალხის თანასწორუფლებიანობაზე დამყარებული თანამშრომლობის დაწესებით და აფასებს ამ მიმართულებით მიღებულ ყველა ღონისძიებას.

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა, რომელსაც შეგნებული აქვს ის პასუხისმგებლობა, რაც ეკისრება ყოველ ქვეყანას მშვიდობის დაცვისათვის ბრძოლაში, მტკიცედ უჭერს მხარს თქვენ მიერ მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების ინტერესებისათვის მიღებულ ღონისძიებებს.

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის სახელით მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გეორგე გეორგიუ-დეჟი.

საფრანგეთის მშვიდობის ეროვნული საბჭოს ბიუროს წერილი საფრანგეთის მთავრობის მეთაურისადმი

პარიზი, 4 მაისი. (საკდესი). საფრანგეთის მშვიდობის ეროვნული საბჭოს ბიურომ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს რენე მეიერს გაუგზავნა წერილი, რომელიც დღეს გაზეთმა „ლუმანიტემ“ გამოაქვეყნა. წერილში აღნიშნულია, რომ 27 მარტს ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესის კომისიამ საფრანგეთის მთავრობას და სხვა დაინტერესებულ მთავრობებს გაუგზავნა წერილი წინადადებით — მიიღონ ღონისძიებანი ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დასადებად. „დღეს, — ნათქვამია მშვიდობის ეროვნული საბჭოს ბიუროს წერილში, — როცა გამოქვეყნდა სხვა მთავრობათა პასუხები, ფრანგ ხალხს ვერ გაუგია, რატომ ღუმს მისი მთავრობა. ხალხს უფლება აქვს იცოდეს მთავრობის განზრახვა და მთავრობა მოვალეა სავსებით ნათლად გააცნოს ხალხს ეს განზრახვა“.

შეხვედრა მსოფლიო ჩემპიონთან

ნეაპოლიდან მიღებული ცნობები საბჭოთა სპორტსმენების ახალ-ახალ წარმატებებს იუწყებოდნენ. საერთო ყურადღებას იპყრობდა შეჯიბრების დასკვნითი ეტაპი — ფინალი.

ასპარეზობა დამთავრდა. ხუთი ოქროს, ერთი — ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედალი — ასეთი იყო საბჭოთა სპორტსმენების მონაპოვარი კლასიკურ ჭიდაობაში მსოფლიო პირველობაზე.

ეს მოხდა ამ ორი კვირის წინ. მსოფლიოს ჩემპიონის წოდება მოიპოვეს გურევიჩმა, ტერიანმა, შატვორიანმა, კარტოზიამ და ენგლასმა.

ჭიდაობის შესანიშნავი ოსტატობა გამოამჟღავნა გივი კარტოზიამ, რომელმაც ზედიზედ მოიპოვა გამარჯვება. მან ნახევარფინალში დაამარცხა მსოფლიოს მრავალგზის და ოლიმპიური თამაშის ორგზის ჩემპიონი შვედი გრენბერგი.

ამ დღეებში ჩვენი ქვეყნის მოჭიდავეები მოსკოვში დაბრუნდნენ. გამარჯვებულებთან შეხვედრა საბჭოთა სპორტის ზეიმად გადაიქცა. საბჭოთა კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა მთავარმა სამმართველომ სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება მიანიჭა მსოფლიოს ჩემპიონებს ა. ტერიანს, გ. შატვორიანს, გ. კარტოზიას და ა. ენგლასს.

* *

4 მაისი. მატარებელი თბილისის სადგურზე ჩამოდგა. ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის სპორტსმენები თაიგულებით შეეგებნენ მსოფლიოს ჩემპიონს გ. კარტოზიას. აქ იყვნენ სპორტის დამსახურებული ოსტატები, სპორტის ოსტატები, ფიზკულტურის მუშაკები.

გამარჯვებით დაბრუნებულ გ. კარტოზიას აღფრთოვანებით შეხვდა ოჯახი, მისი გოგონა.

სურათზე: მსოფლიოს ჩემპიონი გ. კარტოზია შვილთან ერთად თბილისის რკინიგზის სადგურის ბაქანზე.

ფოტო ვ. ზარიძისა.

სსრ კავშირის პირველობა

„ა“ კლასი

საბჭოთა კავშირის XV ჩემპიონატის პირველი შეხვედრები ფეხბურთში მძაფრი ბრძოლით ხასიათდება. ბათამაშებაში მონაწილე თორმეტსავე გუნდს დღეისათვის ჩატარებული აქვს სამ-სამი თამაში. მეოთხე შეხვედრები დაიწყება 7 მაისიდან. ამ დღეს დედაქალაქის ცენტრალურ სტადიონზე ერთმანეთს შეხვდებიან მოსკოვის „დინამო“ და ვილნიუსის „სპარტაკი“.

წარმატებით იბრძვის კიევის „დინამო“, რომელსაც 6 შესაძლებლიდან ბურთების შეფარდებით 3:0 შეგროვილი აქვს 6 ქულა და ლიდერად ითვლება. მეორე ადგილი უკავია თბილისის „დინამოს“ (3 თამაშიდან 5 ქულა, ბურთების შეფარდება 5:1), მესამე — ვილნიუსის „სპარტაკს“ (3 თამაშიდან 4 ქულა, ბურთების შეფარდება 3:1).

* * *

„ბ“ კლასი

გრძელდება „ბ“ კლასის ფეხბურთელთა გუნდების შეჯიბრება. რიგის „დაუგავამ“ ანგარიშით 4:0 მოუგო კალინინის „სპარტაკს“, კიევის ოფიცერთა საოლქო სახლის გუნდმა — ქალაქ მოლოტოვის ფეხბურთელთა კოლექტივს 3:1, გორკის „ტორპედომ“ — ჩელიაბინსკის „ძერჟინეცს“ 2:1, მინსკის „დინამომ“ — ოდესის „მეტალურგს“ 3:1, დონის როსტოვის „ტრაქტორმა“ — ალმა-ატის „დინამოს“ 2:1. კიშინიოვის „ბურევესტნიკისა“ და ტალინის გუნდების შეჯიბრება დამთავრდა ფრედ 0:0.

ბოზარდ მაყურებელთა თეატრში

ბოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი მუშაობს მიმდინარე სეზონის უკანასკნელ ახალ სპექტაკლზე — ნ. ფომინჩევის პიესაზე „ასე იწყება ცხოვრება“.

პიესა მიძღვნილია საბჭოთა ახალგაზრდობის აღზრდისა და ახალგაზრდა სპეციალისტების მომზადების საკითხისადმი. მოქმედება წარმოებს სახელოსნო სასწავლებელში.

სპექტაკლს დგამს საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი თ. თვალიაშვილი, აფორმებს მხატვარი შ. ჟორჟოლაძე, მუსიკა დაწერა კომპოზიტორმა კ. მეღვინეთ-უხუცესმა.

ახალი წყალსადენი

ხაშური. („კომუნისტის“ კორ.). გასულ წელს ხაშურის საქალაქო საბჭოს კომუნალურმა განყოფილებამ სოფელ ბიჯნისიდან დაბა სურამამდე დაიწყო მეორე რიგის წყალსადენის გაყვანა. მიმდინარე წლიდან ამ სამუშაოს აწარმოებს ხაშურის სამშენებლო-სარემონტო კანტორა.

წყალსადენი მიმდინარე წლის ივნისში დამთავრდება.

ახალი წყალსადენი მთლიანად უზრუნველყოფს სასმელი წყლით სურამის მოსახლეობას.

რედაქტორი დ. მჭედლიშვილი.

ოკეანისა და ბალეშის თეატრი

6 მაისს	ლ. დელიბი — ლაქმე
7 მაისს	ხ. ფალიაშვილი — დაისი

დასაწყისი საღამოს 8 ს. და 30 წ.

მეუღლე კონსტანტინე, შვილები ოთარ, ელგუჯა, სოსო, დედამთილი ანა, მამამთილი პავლე შვილებით, და ვერა, ძმები მიხეილ, სერგო ოჯახებით იუწყებიან **ნინო სოლომონის ასულ მაისურაძე-კაჭკაჭევას** გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველდღე 8 ს. გამოსვენება 10-V, 2 ს. ოქროყანის ქ. № 27.

მეუღლე არჩილ, შვილები ვასილ სავანელი, ზ. გიულნაზარიანი, რძალი თინა ავალიშვილი იუწყებიან **ანა ალექსანდრეს ასულ სავანელის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 6-V, 8 ს. გამოსვენება 7-V, 5 ს. მიასნიკოვის ქ. № 59.

მარტყოფის საშუალო სკოლის დირექცია და პედკოლექტივი იუწყებიან ამავე სკოლის მოსწავლეების **გივი გაიოზის-ძე სალთხუციშვილის და ომარ მიხეილის-ძე ეპიტაშვილის** გარდაცვალებას.

მამიდა გენო გოგსაძე, ბიძა ირაკლი აგლაძე, მამიდაშვილი ჯემალ იუწყებიან **გივი გაიოზის-ძე სალთხუციშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 7-V სოფელ მარტყოფში.

შვილები ვარა, მარო, რძლები მარიამ შათირიშვილი, ანა კოპაძე, მაზლისწული პავლე კოპაძე იუწყებიან **ელენე სტურუა-კოპაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 7-V, 5½ ს. ქ. ხაშურში, გამოსვენება ბინიდან, ჯაფარიძის ქ. № 6.

შ. რადიანი, მ. ზანდუკელი, პ. კეკელიძე, ა. ბოცვაძე, დ. გამეზარდაშვილი, ა. მახარაძე, ვ. ციხკარიძე, ა. ჭილაია, ს. ხუციშვილი, გ. კოკნაძე, ჯ. ჭუმბურიძე, ტ. კვანჭილაშვილი იუწყებიან **თამარ კონსტანტინეს ასულ ჟღენტის** გარდაცვალებას.

მშობლები ოლია, გაიოზ, ბაბო ლიზა, პაპა ლეონტისო, მამიდები ქეთევან, დორა, თამარ, ბაცოლა დარიკო, ბიძები შალვა, ნიკოლოზ, იონა შვილებით იუწყებიან **გივი გაიოზის-ძე სალთხუციშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 7-V, 4 ს. სოფელ მარტყოფში.

შვილები ქეთო, ანა, მარო, სულიკო, უჩა, ანდრო, ვარო, ციცინო ქავთარაძეები, რძლები ლელი, ვარა, სიძეები ვ. ამაშუკელი, მ. რუხაძე, გ. კობიაშვილი და შვილიშვილები იუწყებიან **იუსტინა მაქსიმეს ასულ ქავთარაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 9-V სოფელ სავანეში (სიღნაღის რაიონი).

ძმა სერგო ურუშაძე, ძმისწული ვახტანგ ოჯახებით, დები მ. წერეთელი, ე. ურუშაძე, სიძე ა. დავითაშვილი, დისწულები ნინო, ნიკოლოზ წერეთლები, ოლია კოტრიაძე ოჯახით იუწყებიან **ანა ლუკას ასულ ურუშაძე-ატანაზევიჩის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 6-V, 8 ს. გამოსვენება 7-V, 6 ს. შეროზიას ქ. № 12.

შვილები კირილე, ტრიფონ, პარმენ, დავით, პორფილე, ირაკლი, ლუბა მიქაძეები, რძლები ანეტა, პინა, ნინო, ანასტასია, ლენა, მარო და შვილიშვილები იუწყებიან **ნინო მიხეილის ასულ ლოლომაძე-მიქაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 10-V სოფელ გვიმრაში (წყალტუბოს რაიონი).

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პათოლოგიური ანატომიის კათედრის, რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს პათანატომიური განყოფილების და საქალაქო საავადმყოფოების საკოორდინაციო ბიუროს თანამშრომლები იუწყებიან **მარტიროს სარქისის-ძე ხანზულოვის** გარდაცვალებას. გამოსვენება 7-V, 5 ს. პეტრიწის ქ. № 20.

სიძე ლუკა ბიწაძე, მული ელისაბედ ჟღენტი ოჯახით იუწყებიან **თამარ კონსტანტინეს ასულ ცინცაძე-ჟღენტის** გარდაცვალებას.

დედა პასიკო, დები დესპინე, ნატალია, თინა, სიძეები ანდრო, ვლადიმერ, დისწულები თამარ, ჯენერა, ეთერ, ელეონორა და ა. ჯახუა, სიძეები ზაქარია, შოთა, ვალერიან იუწყებიან **მატი გიორგის ასულ კვანტალიანი-ურიდიას** გარდაცვალებას.

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეებისა — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88. ტელეფონები განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 3-81-84, მარქს-ენგელს-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-57-61, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 3-81-84, სოფლის მეურნეობის, კულტურისა და ყოფაცხოვრების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის ადგილობრივი ინფორმაციისა და უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, კორესპონდენტთა ქსელის, ხალხთა მმართველობის — 3-06-58, წერილების — 3-73-24, განცხადებების — 3-51-81, გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობის დირექტორის — 3-65-41, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

უე 03407

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“.